

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დარგობრივი დეპარტამენტი

თამარ ლოლობერიძე

**ეფექტურ რისკ-მენეჯმენტზე მოქმედი ფაქტორების სრულყოფის გზები
თანამედროვე საბანკო სისტემაში**

სპეციალობა: ბიზნესის ადმინისტრირება

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია

ავტორეფერატი

ბათუმი-2019

ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დარგობრივ დეპარტამენტში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ლელა ონიანი- ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

უცხოელი შემფასებელი:

გენადი ხაცკევიჩი- ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ინსტიტუტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი

შემფასებლები:

თამარ გამსახურდია- ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი.

რევაზ მანველიძე- ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი.

მიხეილ ჩიკვილაძე- ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

დისერტაციის დაცვა შედგება 2019 წლის 20 ივლისს, 12 საათზე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილ სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35. აუდ. №32

სადისერტაციო საბჭოს მდივანი

ბიზნესის მართვის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი: ლეილა ცეცხლაძე

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის №35)

შესავალი

თემის აქტუალობა. საბანკო ბიზნესის მართვა თავისთავში მოიცავს განუსაზღვრელობის ელემენტებს, რომელიც რისკული გადაწყვეტილებების მიღებაში ვლინდება და ამავე დროს მოგების მიღების წყაროს წარმოადგენს. რისკი და განუსაზღვრელობა ადამიანის ცხოვრების თანამგზავრია დაბადებიდან გარდაცვალებამდე. თითქმის ყოველდღიურად გვიწევს რისკიანი გადაწყვეტილების მიღება, რამდენადაც ბუნებრივი და საზოგადოებრივი მოვლენების სტოქასტიკური ხასიათი არ იძლევა საშუალებას მოვლენების განვითარება წინასწარ იქნას ნაკარნახევი. ეს გარემოება ადამიანის საქმიანობაში მრავალ პრობლემას ქმნის, ეს იქნება ეკონომიკური, პოლიტიკური, მმართველობითი თუ სამეცნიერო. მომავალი ყოველთვის თითქოსდა ღიაა, მაგრამ განუსაზღვრელი.

ფილოსოფიური მეცნიერების მიხედვით, „განუსაზღვრელობა - ეს არის გადაწყვეტილების მიმღები ტვინის მდგომარეობა, ანუ მისი ცოდნის დონე კონკრეტული სიტუაციის შესახებ“. ამ განმარტების მიხედვით, გარკვეულწილად განუსაზღვრელობის მასშტაბების ზრდას ხელს უწყობს თითოეული სუბიექტის ცოდნის დაბალი დონე კონკრეტული სიტუაციის ირგვლივ და არა თვით „განუსაზღვრელობის“. ამ განმარტებიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის მაღალ დონეზე დამუშავების მიზნით, აუცილებელად მივიჩნიეთ ღრმად შეგვესწავლა უძველესი დროიდან დღემდე მეცნიერთა მიერ ჩატარებული კვლევები რისკისა და განუსაზღვრელობის შესახებ, რათა მიღებული დასკვნა საბანკო სფეროს რისკ-მენეჯმენტის ფაქტორების კვლევისას ყოფილიყო მეტად განსაზღვრული და თანაფარდობა „რისკი-სარგებელი“ რეალურ ჩარჩოში აღმოჩენილიყო.

რისკის აღქმისას ფსიქოემოციური განწყობა საფრთხის მოლოდინისაკენაა მიმართული და ადამიანის შესაძლებლობების დათრგუნვას იწვევს, თუნდაც წამიერად, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებაზე, შესაძლებელია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს.

თანამედროვე კომერციულ ბანკებს მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი რისკების პირობებში უწევთ საქმიანობა, ვინაიდან, ისინი ურთიერთობენ კლიენტებთან, პარტნიორებთან, ზოგადად გარემოსათან, რომლებთანაც წარმოქნილი რისკები გენერირდება საბანკო რისკებად, სწორედ აქედან გამომდინარე,

აუცილებელია საბანკო რისკების მართვის სისტემის ჩამოყალიბება. საბანკო რისკებზე განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭების ერთ - ერთი მიზეზი ბანკების თავიანთ კონტრაგენტებთან მჭიდრო კავშირია.

ბანკი, როგორც ცენტრალური ფიგურა, საბაზრო სუბიექტებს ერთმანეთთან აკავშირებს, ამიტომ თითოეული ეკონომიკური სუბიექტის წინაშე წარმოქმნილი რისკი ხელს უწყობს საბანკო რისკ ფაქტორების გაჩენას, რომლის უმართაობაც ეკონომიკური კრიზისის საფუძველი ხდება.

საბანკო ბიზნესის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები ყოველთვის ითვლებოდა მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხად. ამასთან დაკავშირებით, ქართულ საბანკო სისტემაში ყველაზე მწვავე პრობლემას მართვის მეთოდების ხარისხის გაუმჯობესება და რისკ-მენეჯმენტის პროცედურების მიმდინარე საქმიანობაში რეალურად დანერგვა წარმოადგენს.

რისკების მართვის სისტემურობას არსებითი მნიშვნელობა აქვს ბანკის წარმატებასა და მდგრადობის უზრუნველყოფაში. დღევანდელი ბაზარი რისკ-მენეჯმენტის მაღალ სტანდარტებს მოითხოვს, რაც კონკურენციის ზრდითაა განპირობებული. კონკურენციიდან გამომდინარე, იზრდება მოთხოვნები სწრაფ და ეფექტიან გადაწყვეტილებების მიღებაზე, ამას კი შესაბამისად უკვე მოჰყვება თანმდევი რისკების ეფექტიანად მართვის აუცილებლობა. მეორე მიზეზად მივიჩნევთ იმ ფაქტს, რომ იზრდება და ფართოვდება ბიზნეს გარემო, რაც თავის მხრივ, მეტყველებს ბიზნესში სარიკსო გადაწყვეტილებების ზრდაზე.

საქართველოს ეკონომიკაში ორი ათეული წლის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ გარდა საბანკო კაპიტალის კონცენტრაციის პროცესებისა, ცალკეული ბანკების მხრიდან, საბანკო სეგმენტაციის გაძლიერებით შეპირობებულმა შთანთქმის ტრენდებისა, გარკვეულწილად საბანკო ბაზარზე ბანკების შემცირება გამოიწვია საბანკო რისკების არასრულყოფილად შეფასებამ, ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ეფექტიანი რისკ-მენეჯმენტის მექანიზმის სრულყოფა და მართვის თანამედროვე სტანდარტებთან მისი შესაბამისობა აქტუალურია ქართულ კომერციულ ბანკებს შორის ჯანსაღი კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბებისა და მათი მდგრადობის საკითხებში.

კვლევის მიზნები და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზანია საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების რისკ-მენეჯმენტის დონის შესწავლა და რისკების ეფექტიან მართვასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენა და სრულყოფის გზების დასახვა. შესწავლილი იქნას საბანკო სფეროში არსებული და მოსალოდნელი რისკების დადგომის მიზეზები, როგორ ხდება მათი იდენტიფიცირება და შეფასება, მათი გავლენა ფინანსური ინსტიტუტების მდგრადობასა და სანდოობაზე. გამოვლენილი პრობლემების საფუძველზე შემუშავდეს თეორიულად დასაბუთებული მიდგომები და პრაქტიკული რეკომენდაციები ეფექტიანი რისკ-მენეჯმენტის მექანიზმის შექმნასთან დაკავშირებით. დასახული მიზნის მისაღწევად შევიმუშავეთ შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

- შესწავლილი იქნეს მსოფლიო მკვლევართა შეხედულებები რისკის, როგორც მეცნიერული მიმართულების შესახებ;
- შესწავლილი იქნეს რისკ-მენეჯმენტის, როგორც მეცნიერული მიმართულების ჩამოყალიბებისა და ევოლუციის ეტაპები;
- განხილული და გაანალიზებული იქნეს საბანკო ბიზნესში არსებული რისკები და მათი გამომწვევი ფაქტორები;
- შესწავლილი და გაანალიზებული იქნეს ყველა ის რეგულაციები, რომელიც ვრცელდება საბანკო სისტემაში არსებული რისკების მართვაზე;
- განხილული იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ზედამხედველისა და მეთვალყურის როლი საბანკო სისტემის მართვის სისტემის სრულყოფაში;
- შესწავლილი იქნეს თუ როგორ არის ცალკეულ კომერციულ ბანკებში დანერგილი შიდა კონტროლის სისტემა რისკების იდენტიფიცირების, შეფასებასა და მონიტორინგთან მიმართებაში;
- შესწავლილი და გაანალიზებული იქნეს ფინანსური და არაფინანსური რისკები და მათზე მოქმედი ფაქტორები სისტემური ბანკების მაგალითზე;
- გაკეთდეს ვადაგადაცილებული სესხების, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკრედიტო ფაქტორის ემპირიული ანალიზი და შესწავლილი იქნეს მაკროეკონომიკურ ფაქტორთა ურთიერთდამოკიდებულება;

- შესწავლილი იქნეს ქართულ კომერციულ ბანკებში რისკ-კულტურის ჩამოყალიბების ტენდენციები და შემუშავებული იქნეს შესაბამისი წინადადებები;

კვლევის საგანი. საბანკო რისკები და რისკ-ფაქტორები;

კვლევის ობიექტი. საქართველოს საბანკო სისტემაში მოქმედი სისტემურობის განმსაზღვრელი კომერციული ბანკები;

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. რისკების მართვისა და მათზე მოქმედი ფაქტორების, ასევე საბანკო რისკ-მენეჯმენტის ეფექტიანობის თეორიული და პრაქტიკული საკითხები შესწავლილი აქვთ შემდეგ უცხოელ მეცნიერებს: ბაშელიეს, მარკოვიჩს, ბერთილს, ლიტნერს, თრეინორს, შარფს, ფიშერ ბლექს, მაირონ სქოულზს, ქრაუჩს, ფილდს და სხვებს.

ქართველ მეცნიერთაგან საბანკო სისტემაში არსებული რისკების მართვასთან დაკავშირებული პრობლემები განხილული აქვთ თავიანთ ნაშრომებსა და სახელმძღვანელოებში: გ.ცუცქირიძეს, ი. კოვზანაძეს, გ. კონტრიძეს, ა.ერგეშიძეს, ლ. ონიანს, მ. შიუკაშვილს, პ. ჩაგანავას, გ. ცაავას და სხვებს, მიუხედავად ჩატარებული კვლევებისა, საბანკო რისკ-მენეჯმენტთან დაკავშირებული პრობლემები არ არის ამოწურული. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან, ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები, ფინანსური ინტეგრაცია აჩენს სულ უფრო ახალ რისკებს, რაც საჭიროებს მათ შესწავლასა და მართვის ახლებური მიდგომების ჩამოყალიბებას, რამაც განსაზღვრა ჩვენი საკვლევი თემის შერჩევა, მიზანი და ამოცანები.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. მონაცემების სისტემატიზაცია, მათი ანალიზი პირსონის კორელაციისა და რეგრესული მეთოდით, რისკებსა და ფაქტორებს შორის დადგენილი ურთიერთკავშირების წარმოდგენა ფორმულებით და გრაფიკებით.

მეცნიერული სიახლე. სადისერტაციო ნაშრომის სიახლე მდგომარეობს შემდეგში.

- წარმოდგენილია რისკის ცნების წარმოშობის წინაპირობები, მისი, როგორც თეორიის შეცნობისა და განვითარების 4 ეტაპი;
- განხილულია ალბათობის თეორიის როლი, რისკის სიდიდის განსაზღვრასა და რისკების თეორიის ევოლუციაში.
- შესწავლილია და გაანალიზებულია წარსულის საბანკო პრაქტიკაში დაშვებული

შეცდომები, რამაც საფუძველი ჩაუყარა სხვადასხვა სახის რისკების წარმოშობას და თანამედროვე რისკ-მენეჯმენტის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

- ახლებურადაა წარმოდგენილი საბანკო რისკის არსი, რომელშიც განმსაზღვრელ ფაქტორად მიჩნეულია ბანკისა და მის ბიზნეს პარტნიორთა საქმიანობის შედეგების მატერიალიზაცია ბანკის ფინანსური რესურსების დანაკარგებში;
- შესწავლილი გვაქვს ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების საბანკო სისტემაში არსებული რისკების მაკროეკონომიკური რეგულაციები, სტრეს-ტესტირებით მიღებული შედეგების ანალიზი. შედეგად გამოვლენილი გვაქვს ერთფაქტორიანი და მრავალფაქტორიანი სტრეს-ტესტირების მეთოდების გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაზეც გაკეთებული გვაქვს შესაბამისი დასკვნები.
- შესწავლილი გვაქვს საქართველოს საბანკო სისტემაში არსებული რისკების მართვის მარეგულირებელი დოკუმენტები და რისკების შეფასების საერთო პროგრამა “GRAPE” (General Risk Assessment Program), რომელსაც ეფუძნება საქართველოს ეროვნული ბანკის რისკებზე ორიენტირებული საზედამხედველო პროცესი;
- განხილული გვაქვს კომერციული ბანკების საქმიანობის შიდა კონტროლის სისტემა და მისი განხორციელების ძირითადი ეტაპები და ტიპები, კერძოდ შიდა აუდიტის როლი საბანკო რისკების პრევენციულ ღონისძიებებში. შეფასებული გვაქვს ბანკების დისტანციური მომსახურების სფეროში არსებული რისკების სტრუქტურა და მაღალრისკიანი ობიექტები. შესაბამისად ჩამოყალიბებული გვაქვს ამ სფეროში აუდიტის პროცესის წარმართვის თანმიმდევრობა.
- პირსონის კორელაციის მეთოდის გამოყენებით დადგენლია სისტემურობის განმსაზღვრელი კომერციული ბანკების ვადაგადაცილებული სესხით წარმოქმნილ საკრედიტო რისკზე მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გავლენა;
- განისაზღვრა საკრედიტო რისკთან მიმართებაში, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სტატისტიკურად მნიშვნელოვნების დადგენის შედეგად მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა „შოკური ცვლილებისას“ საკრედიტო რისკის მოსალოდნელი ზომა;
- კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული დასკვნების შესწავლის საფუძველზე, **საკრედიტო და საოპერაციო რისკის** რეგრესული ანალიზის

ჩატარებისათვის აიგო მრავლობითი რეგრესიის მოდელი იმ ფაქტორთა შერჩევით, რომლებიც ყველაზე მეტ გავლენას ახდენენ საკრედიტო რისკზე. ფინანსურ მაჩვენებელთა დროითი მწკრივების მიხედვით გაკეთდა საკრედიტო რისკის მომავალი ორი წლის პროგნოზი;

- საოპერაციო და საკრედიტო რისკების რეგრესული ანალიზით მიღებული შედეგების საფუძველზე დავადგინეთ მათი გავლენა ბანკის ფინანსურ შედეგებზე და რისკების მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად შევიმუშავეთ სარეკომენდაციო წინადადებები;
- თვისობრივი მეთოდის გამოყენებით დადგინდა საქართველოს კომერციულ ბანკებში არსებული რისკ-კულტურის დონე და მიღებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე შემუშავებული იქნა წინადადებები მისი შემდგომი სრულყოფის მიზნით;

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომს აქვს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ღირებულება. მისი ჩართვა სამაგისტრო პროგრამაში გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს, სტუდენტებს დაეხმარება რისკ-მენეჯმენტის როგორც მეცნიერული მიმართულების ჩამოყალიბების შესახებ თეორიული ცოდნის გაღრმავებაში, ასევე რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და ანალიზის ახალი მეთოდებისა და მიდგომების შესწავლაში. კვლევის შედეგებს აქვს პრაქტიკული მნიშვნელობაც, რადგან მასში წარმოდგენილია კომერციულ ბანკებში საკრედიტო რისკ-მენეჯმენტის სრულყოფისა და ეფექტიანად წარმართვის რეკომენდაციები.

შრომების პუბლიკაცია. დისერტაციის ძირითადი შინაარსი და კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია ავტორის სამეცნიერო ნაშრომებში.

დისერტაციის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, 9 ქვეთავის, დასკვნებისა და წინადადებისაგან. მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 158 გვერდი, რასაც თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურისა და დანართების ნუსხა.

სტრუქტურა

შესავალი

თავი 1. საბანკო რისკების მართვის თეორიული ასპექტები

- 1.1 რისკის თეორიის განვითარების ეტაპები-მსოფლიო მკვლევართა შეხედულებები.
- 1.2 რისკ-მენეჯმენტი - მეცნიერება რისკების მართვის შესახებ.
- 1.3 რისკები საბანკო ბიზნესში.

თავი 2. რისკ-მენეჯმენტის რეგულირების თანამედროვე მექანიზმი

- 2.1. საბანკო რისკების მაკროეკონომიკური რეგულაციები განვითარებულ ქვეყნებში.
- 2.2. საბანკო ზედამხედველობის როლი რისკ-მენეჯმენტის სისტემის სრულყოფაში.
- 2.3. შიდა კონტროლისა და აუდიტის როლი რისკების სტრატეგიულ მართვაში.

თავი 3. რისკ-მენეჯმენტის ეფექტიანობის ძირითადი ფაქტორები და მათი გავლენის არეალი ქართულ საბანკო ბიზნესზე

- 3.1. ფინანსური და არაფინანსური რისკების ემპირიული ანალიზი და მართვა.
- 3.2. ვადაგადაცილებული სესხებით გამოწვეულ საკრედიტო რისკთან მაკროეკონომიკური მაჩვენებლების კორელაციის დადგენა და პროგნოზირება.
- 3.3. რისკ-კულტურის ჩამოყალიბების ტენდენციები ქართულ კომერციულ ბანკებში.

დასკვნები და წინადადებები

გამოყენებული ლიტერატურა

დანართები

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

პირითადი შინაარსი

ნაშრომის პირველი თავი „საბანკო რისკების მართვის თეორიული ასპექტები“ შედგება სამი ქვეთავისაგან. პირველ ქვეთავში: „რისკის თეორიის განვითარების ეტაპები-მსოფლიო მკვლევართა შეხედულებები“ შესწავლილი და განხილული გვაქვს რისკის, როგორც ცნების წარმოშობის წინაპირობები და შემდგომში, როგორც თეორიის განვითარების ეტაპები, შესაბამისად, ამ პერიოდებში მოღვაწე მკვლევართა მოსაზრებები და თეორიებიც, კერძოდ, განხილული გვაქვს რისკის შეცნობისა და მისი ევოლუციის ოთხი ეტაპი. აქედან პირველი ეტაპი მოიცავს მე-13-მე-17 საუკუნეებს. ამ პერიოდში აღსანიშნავია იტალიელი მათემატიკოსის, ფილოსოფოსისა და ასტროლოგის ჯეროლამო კარდანოს (მე-16 საუკუნე), ფრანგი მათემატიკოსების ბლეზ პასკალისა და პიერ დე ფერმას (მე-17 საუკუნე), ინგლისელი ჰაბერდაშერის ჯონ გრაუნტის (მე-17 საუკუნე) ხედვები და მოსაზრებები მოსალოდნელი შემთხვევების გათვლებისა და პროგნოზირების შესახებ. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ალბათობის თეორია, რომელმაც მეცნიერებს რისკის სიდიდის განსაზღვრისათვის ახალი შესაძლებლობები მისცა. მიუხედავად იმისა, რომ ალბათობის თეორიის კვლევებმა დიდი გადატრიალება მოახდინა რისკების თეორიაში, ვთვლით, რომ მისი გამოყენებით რისკის ზუსტი შეფასება შეუძლებელია. ერთი სირთულე, რომელიც თან ახლავს ალბათობის თეორიის გამოყენებას, ისაა რომ ალბათობების გათვლა ხდება უკვე დამდგარი მოვლენების მონაცემების საფუძველზე და შესაბამისად, მომავალში მოსალოდნელი ახალი შემთხვევების შესახებ ინფორმაცია ნაკლებად სარწმუნო ხდება, რაც თავისთავად ართულებს გადაწყვეტილების მიღებას.

რისკების თეორიის მეორე ეტაპი 1700-1900 წლებს მოიცავს. ამ პერიოდში აღსანიშნავია გერმანელი ფილოსოფოსის ლეიბნიც გოტფრიდ ვილგელისა და შვეიცარიელი მათემატიკოსის იაკობ ბერნულის იდეები, სმითის ნაშრომები (რისკისა და შემოსავლიანობის დონეს შორის კავშირი), ამერიკელი ეკონომისტის ჯონ მორის კლარკის, გერმანელი ეკონომისტის ჯოან ეინრიხ ვონ ტიუნენსის ნაშრომები, რომლებმაც თანმიმდევრულად ახსნეს და განავრცეს თეორიები რისკის შესახებ.

რისკის თეორიის განვითარების მესამე ეტაპი მოიცავს 1900-1960 წლებს. ამ პერიოდში რისკის ცნება უკვე განუყოფელია სამეწარმეო საქმიანობისაგან.

რისკებისადმი დამოკიდებულება უკვე ბუნებრივი პირობების არამდგრდობის შედეგების გაანალიზებისას გაჩნდა, გარე ფაქტორების ცვლილებისას, თვით ადამიანის ცოდნის გაზრდაც კი წარმოქმნის ახალ რისკებს. აუცილებელი გახდა რისკების მართვის, მათი შეფასების და პროგნოზირების ახალი მიდგომების დამშვება, რომელიც მათემატიკური აპარატის გარეშე გადაუწყვეტელი დარჩებოდა დღესაც.

ამ პერიოდს ეკუთვნის ამერიკელი ეკონომისტის ჯოზეფ შუმპეტერის (ეკონომიკური განვითარების თეორია), ალფრედ მარშალისა და არტურ სესილ პიგუს (ნეოკლასიკური თეორია), ამერიკელი ეკონომისტის ჩარლზ ნაიტის (მიჯანვს რისკ განუსაზღვრელობისაგან), ჯონ მეინარდ კეინსის ნაშრომები. ამავე პერიოდში ჩნდება „დივერსიფიკაციის ცნება“, რომელიც შემოთავაზებული იქნა 1952 წელს ამერიკელი მეცნიერის გარი მარკოვიჩის მიერ. მან განსაზღვრა დისპერსია „ცვალებადობა“, როგორც რისკისა და შემოსავლის განუსაზღვრელი საზომი.

რისკის თეორიის განვითარების მეოთხე ეტაპი 1960 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება. ამ პერიოდში გერმანელმა სოციოლოგებმა ნიკლას ლუმანმა, ულრიხ ბეკმა და ინგლისელმა სოციოლოგმა ენტონი გიდენსმა სოციალური კონცეფციები შექმნეს, რომელთა მიხედვით, სოციოლოგიამ პასუხი გასცა კითხვას, თუ „საზოგადოება როგორ ხსნის და ასწორებს ნორმისგან გადახრას, არახელსაყრელ ან გაუთვალისწინებელ შემთხვევითობებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ცხოვრების ბნელი მხარე“.

ჩვენი აზრით, თანამდროვე პერიოდში კლასიკური და ნეოკლასიკური თეორიები წმინდა სახით აღარ არსებობენ, რადგან ტრანსფორმაცია განიცადეს. საერთო გავრცელებულ თეორიად ეკონომიკურ რისკებში ითვლება ნეოკლასიკური თეორია კეინსის დამატებებით. კეინსმა, პირველმა მოგვცა სამეწარმეო რისკების კლასიფიკაცია, შეავსო კმაყოფილების ფაქტორით. ნეოკლასიკური თეორიის უარყოფით მხარედ კეინსი თვლიდა აზარტისადმი მიმხრობის ბოლომდე შეუფასებლობას, რასაც სამეწარმეო საქმიანობაში ხშირად აქვს ადგილი.

იმ პერიოდის ეკონომისტების, მათემატიკოსებისა და სოციოლოგების კვლევების გასამდიდრებლად ამავე ქვეთავში შესწავლილი გვაქვს ფსიქოლოგთა და ფილოსოფოსთა აზრები რისკთან დაკავშირებით, ვინაიდან, ჩვენი აზრით, შესაძლებელია რისკის განსაზღვრა, მისი მართვა მოექცეს რაღაც მათემატიკურ

კანონზომიერებაში, მაგრამ თითოეული პიროვნება განსხვავებულად აღიქვამს და გამოიყენებს ამ კანონზომიერებებს, რაც შესაბამისად, შედეგსაც განსხვავებულს იძლევა.

ფსიქოლოგთა კვლევები რა თქმა უნდა სარწმუნოა, ვინაიდან, მათ უშუალოდ ადამიანის ფსიქომოციური შეფასება შეუძლიათ, მაგრამ ამ კვლევების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მათემატიკოსთა მიერ შექმნილი კანონზომიერებები უბრალოდ კანონზომიერებაა და მისი გამოყენება შეუძლებელია, მაგრამ ჩვენი აზრით, ვთლით, რომ მათემატიკური კანონზომიერებები მართლაც გამოუსადეგარია კონკრეტული პირის ცხოვრებაში მისაღები გადაწყვეტილებისათვის, მაგრამ წარმოების სფერო, სადაც „სარგებელი-რისკი“ ერთმანეთს ეჯახება, გაუმართლებელია გათვლების გარეშე გადაწყვეტილების მიღება სუბიექტურად, მაშინ, როდესაც ინფორმაციის შეგროვების საშუალება წარმოების დონეზე შესაძლებელია. ამრიგად, განხილული და შესწავლილი მსოფლიო მკვლევართა ნაშრომები რისკის არსისა და მისი მართვისადმი ადამიანის დამოკიდებულების შესახებ, გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ რისკი ეს არის უდიდესი ფენომენი, რომლის წინაშე მეცნიერების კვლევები აბსოლუტურ სიზუსტეს მოკლებულია.

ნაშრომის მეორე ქვეთავში „რისკ მენეჯმენტი, როგორც მეცნიერება რისკების მართვის შესახებ“ განხილული და შესწავლილი გვაქვს თანამედროვე რისკ მენეჯმენტის, როგორც მეცნიერებად ჩამოყალიბების წინაპირობები, რასაც გასულ საუკუნეში არაერთმა მეცნიერმა მიუძღვნა თავისი ნაშრომები. რისკების მართვის აქტუალურობაზე შესწავლილი გვაქვს ფინანსური ასოციაციებისა და ეკონომიკური ჟურნლების საქმიანობა, რომლებშიც აქტიურად ქვეყნდებოდა იმ მეცნიერთა ნაშრომები (ბაშელია, მარკოვიჩი, ბერთილი, ლიტნერი, თრეინორი, შარფი, ფიშერ ბლექი, მაირონ სქოულზი და სხვა). რომელთაც ფინანსურ მეცნიერებაში რევოლუციური ხასიათი მიიღო. ზოგიერთი ავტორთაგანი ნობელის პრემიის ლაურეატიც გახდა. ამავე ქვეთავში მოყვანილი გვაქვს Herstatt Bank-ის გაკოტრებაში ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაშვებული შეცდომები, რამაც გერმანული კომერციული ბანკი Herstatt Bank გაკოტრების პირას მიიყვანა, რის შედეგადაც წარმოქმნა საანგარიშსწორებო რისკი - Herstatt Bank-ის რისკის სახელით ცნობილი, რამაც შემდგომში განაპირობა საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის

დაფუძნება. ამავე პერიოდს უკავშირდება საბაზრო და საკრედიტო „RiskMetrics“ და „CreditMetrics“ მოდელების შექმნა, რამაც საფუძველი ჩაუყარა საკრედიტო რისკის შეფასების მოდელს - რისკების გაზომვა მათი ღირებულის მიხედვით (Value-at-Risk-VaR). კრიზისული მოვლენებისა და ზოგადად, საბანკო მომსახურების ევოლუციის შესწავლის საფუძველზე გამოვიტანეთ დასკვნა, რომ დღეისათვის რისკ მენეჯმენტის, როგორც მეცნიერებისა და ბაზნების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტის წარმოქმნა განაპირობა ასევე 70-იანი წლების საბანკო ბიზნესში რეკლამის შეჭრამ, რასაც მოჰყვა საბანკო ოპერაციების ინტერნაციონალიზაცია, შედეგად კონკურენციის გამწვავება, ბანკთაშორისო სტრატეგიული დაგეგმვა, რაც თავის თავში მოიცავდა რისკების მართვის ეფექტიანი მოდელების შემუშავების აუცილებლობას. გამომდინარე აქედან, მიგვაჩნია, რომ რისკების მართვის საერთაშორისო მექანიზმები მიუხედავად მისი განვითარებისა და ევოლუციის ეტაპებისა, ბოლომდე ვერ არის სრულყოფილი და იგი ფინანსური ბაზრების განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე ახალ მიდგომებს მოითხოვს.

მესამე ქვეთავში “რისკები საბანკო ბიზნესში“ დეტალურად გვაქვს შესწავლილი საბანკო რისკების არსი, ქართველ მეცნიერთა შეხედულებები და მოსაზრებები ცაკლეული საბანკო ოპერაციების რისკებთან დაკავშირებით. მათი შეხედულებების გაანალიზების საფუძველზე ჩამოვყალიბეთ ჩვენიუი ხედვა რისკის ცნებასთან დაკავშირებით. ჩვენ ვთვლით, რომ რისკის არსებულ განმარტებებში საფუძველად დევს საფრთხის მოსალოდნელობა, რომელიც ზიანს აყენებს რისკის ზემოქმედების ობიექტს ან სუბიექტს. გამომდინარე აქედან, ჩვენი ხედვით ვაყალიბებთ საბანკო რისკის ცნებას, რაც მდგომარეობს შემდეგში: „საბანკო რისკები არის საბანკო ბიზნესთან დაკავშირებული სუბიექტების საქმიანობაში განვითარებული მოვლენების მატერიალიზაცია ასახული ბანკის ფინანსური რესურსების დანაკარგებში“. ამავე ქვეთავში განხილული გვაქვს საბანკო რისკების და მათზე მოქმედი ფაქტორების კლასიფიკციის ყველა შესაძლო ვარიანტი, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა მკაფიოდ განისაზღვროს თითოეული რისკის ადგილი საბანკო სისტემაში და ეფექტიანად იქნეს გამოყენებული რისკის მართვის შესაბამისი მეთოდები.

საბანკო საქმიანობაზე მოქმედი რისკების კლასიფიკაცია იძლევა საშუალებას თითოეულმა კომერციულმა ბანკმა მოახდინოს იმ რისკების იდენტიფიკაცია, რომლებიც ყველაზე მეტად ახდენს გავლენას ბანკის ფინანსურ შედეგზე. ჩვენი აზრით, საკრედიტო და საოპერაციო რისკი ბანკების „ძირითადი რისკებია“ და სწორედ, პირველ რიგში მათი არაეფექტური მართვა მიიყვანს ბანკს გაკოტრებამდე.

მივიჩნევთ, რომ საფინანსო სისტემის განვლილი კრიზისები გახდა საბანკო რისკებისა და მათზე მოქმედი ფაქტორების მუდმივად განახლებად რეჟიმში გაანალიზებისა და მათი მართვის ახალი მოდელების დანერგვის მიზეზი.

დღეისათვის საბანკო სისტემა თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან (ინტერნაციონალიზაცია) გამომდინარე, მხოლოდ ცალკეული ქვეყნის საფინანსო სისტემის შიდა რეგულაციების ჩარჩოებში ვერ მოექცევა. ცალკეული ქვეყნების კომერციული ბანკების საერთაშორისო საფინანსო სისტემაში ინტეგრირების პრობებში მოსალოდნელი რისკები ექვემდებარება საერთაშორისო სტანდარტებით რეგულაციებსაც, რადგან ასეთ შემთხვევაში ბაზარზე თუ ქრება ერთი სახის რისკები, თავს იჩენს ახალი, მართვის მექანიზმის მიღმა არსებული რისკებიც, ამიტომაც კვლევის წარმართვა საბანკო რისკ-მენეჯმენტის მიმართულებით მიგვაჩნია, რომ მუდმივად დაუსრულებელი პროცესია.

აქედან გამომდინარე, ნაშრომის მეორე თავის - „რისკ მენეჯმენტის რეგულირების თანამედროვე მექანიზმი“, პირველ ქვეთავში „საბანკო რისკების მაკროეკონომიკური რეგულაციები განვითარებულ ქვეყნებში“ შესწავლილია განვითარებული ქვეყნების საბანკო სისტემაში არსებული რისკების მაკროეკონომიკური რეგულაციები, კერძოდ, ევროპული (ბაზელი) და ამერიკული (დოდ-ფრანკი) მოდელები. განხილული გვაქვს ევროპის საბანკო სისტემის მარეგულირებელი ორგანოების მიერ სტრეს-ტესტების გამოყენებით მიღებული შედეგების ანალიზი, მათი შეხედულებები ფინანსური მდგრადობის შესაძლებლობებზე, ასევე ევროპის G10 ჯგუფის ბანკების მიერ ჩატარებული სტრეს-ტესტები და ბაზელის ზედამხედველობის კომიტეტის მითითებები. ახსნილი გვაქვს სტრეს-ტესტირების მეთოდოლოგია და მოდელების გამოყენების პრაქტიკული შედეგები, რომლებმაც აჩვენს, რომ მათი პირდაპირი კოპირება სხვა ეკონომიკური განვითარების ქვეყნებში მცადრი შედეგის მომტანი იქნება. გამოვლენილი გვაქვს ერთფაქტორიანი და მრავალფაქტორიანი სტრეს-

ტესტირების მეთოდების გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები. შესწავლილმა მასალებმა გვიჩვენა, რომ ექსტრემალურ პირობებში ტესტირების ვერც ერთი მოდელი ვერ გვაძლევს რისკების მართვაში სრულყოფილ შედეგს და ამის მაგალითი ბოლო წლების არაერთი ფინანსური კრიზისია. რაც შეეხება ამერიკულ რეგულაციებს, მიუხედავად იმისა, რომ ის მიუახლოვდა ბაზელის სტანდარტებს და რეკომენდაციებს საბანკო კაპიტალის ნორმების ნაწილში ჯერ კიდევ ბოლომდე გაურკვეველია დოდ-ფრანკისა და ბაზელის რეკომენდაციების შეხების საერთო წერტილი.

ვეთანხმებით იმ აზრს, რომ საჭიროა შესწორებების შეტანა დოდ-ფრანკის აქტში, ვინაიდან საერთაშორისო ბაზარზე მოქმედი ყველა ბანკი სისტემური რისკების ზემოქმედებას განიცდის. ამერიკული ბანკები ვერ იქნება ჩაკეტილი წრის შემადგენელი და გლობალიზაცია აიძულებს მარეგულირებელ ინსტიტუტებს ისეთი კანონების მიღებას, რომელიც მსოფლიო საფინანსო სისტემას რეგულაციის „ერთი ქოლგის ქვეშ მოაქცევს“.

მეორე ქვეთავში „საბანკო ზედამხედველობის როლი რისკ-მენეჯმენტის სისტემის სრულყოფაში“ შესწავლილი გვაქვს ყველა ის მარეგულირებელი დოკუმენტი თუ ნორმატიული აქტი, რომელთა საფუძველზეც კომერციული ბანკები რისკების მართვას ახორციელებენ. ასევე რისკების შეფასების საერთო პროგრამა “GRAPE” (General Risk Assessment Program), რომელსაც ეფუძნება საქართველოს ეროვნული ბანკის რისკებზე ორიენტირებულ საზედამხედველო პროცესი.

როგორც ჩანს, ეროვნული ბანკი რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის ფარგლებში, ცდილობს, გამოკვეთოს და შეამციროს ის პოტენციურ რისკები, რომელმაც, შესაძლოა, პრობლემა შეუქმნას საფინანსო სისტემის უსაფრთხო და ჯანსაღ ფუნქციონირებას. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს გაკოტრების რისკებისა და საფრთხეების დროულად გამოვლენას და მათი რეალიზებით გამოწვეული უარყოფითი ეფექტების მაქსიმალურ შემცირებას საფინანსო სისტემის ფინანსურ შედეგებში.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ბოლო ათწლეულები კომერციული ბანკები ქართულ ბიზნეს სივრცეში გამოირჩევიან მზარდი ტენდენციებით, მაღალია საბანკო სისტემის აგრეგირებული აქტივების ხვედრითი წონა მთლიან შიდა

პროდუქტთან (საშუალოდ 85,5%), ამასთან ორი ქართული ბანკი უკვე ოპერირებს ლონდონის საფონდო ბირჟაზე, ისეთი სახელმძღვანელოს შექმნა, როგორც არის GRAPE (General Risk Assessment Program) შეიძლება ჩაითვალოს წინ გადადგმულ ნაბიჯად ქართულ საბანკო სივრცეში არსებული თუ მოსალოდნელი რისკების ეფექტურად მართვის მიმართულებით.

ამასთან, რისკების მართვის ინფრასტრუქტურა ჩაითვლება ეფექტურად თუ ის ამავდროულად ხელს შეუწყობს ბანკთაშორის ჯანსაღ კონკურენციის ჩამოყალიბებას, რის დეფიციტსაც სამწუხაროდ დღეისათვის ქართული ფინანსური ბაზრები განიცდის.

მეორე თავის მესამე ქვეთავში „შიდა კონტროლისა და აუდიტის როლი რისკების სტრატეგიულ მართვაში“ ყურადღებას ვუთმობთ შიდა კონტროლის ეფექტიან მართვის საკითხებს, ვინაიდან, საბანკო რისკების მართვის მნიშვნელოვან კომპონენტს და უსაფრთხოების პირობას შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემა წარმოადგენს. ამ სისტემის განვითარების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს შიდა აუდიტორიული საქმიანობისადმი მოთხოვნებს უწესებს, რომელიც რეგულირდება შესაბამისი ნორმატიული აქტებით. აქედან გამომდინარე, შევისწავლეთ შიდა კონტროლის განხორციელების მოქმედი ძირითადი ეტაპები და ტიპები, ბანკებში შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების საერთაშორისო პრაქტიკის ისტორია და მისი დანერგვის თეორიული საფუძვლები.

განსაკუთრებული აქცენტები გავაკეთეთ დისტანციურ საბანკო მომსახურებაში შიდა აუდიტის როლზე, ვინაიდან, დღეისათვის ელექტრონული ბანკინგი ჩვენი ცხოვრების ისეთი განუყოფელი სერვისია, რომელშიც დიდია ალბათობა წარმოიქმნას რთულად იდენტიფიცირებადი და ხარისხობრივად შეფასებადი სპეციფიკური რისკები. სწორედ ამიტომ ჩამოყალიბებული გვაქვს აუდიტის პროცესის წარმართვის თანმიმდევრობა, უპირატესობას ვანიჭებთ საოპერაციო რისკების სწრაფად აღმოფხვრისათვის საინფორმაციო სისტემის კომპლექსური მეთოდებით შეფასებას, რაც ითვალისწინებს ბანკის პერსონალისა და აუდიტორთა ურთიერთ თანამშრომლობას. ორივე მხარე ხედავს არსებულ სურათს და შეაქვთ თავიანთი წვლილი საერთო გარემოებაში. აუდიტორმა უნდა შეძლოს რისკის მთავარი ობიექტების განსაზღვრა, მაგრამ მის შესაძლობლებებს აღემატება ყოველდღიური

ოპერაციების დეტალური შეფასება. ხოლო ბანკის თანამშრომლებმა კარგად იციან მიმდინარე სამუშაოების სპეციფიკურობა, მაგრამ არ შეუძლიათ წარმოიდგინონ ოპერაციის საერთო სურათი, ამიტომაც თუ კვლევას ჩაატარებენ კომპლექსურად, მაშინ თანამშრომლები შეაფასებენ რისკს, ხოლო აუდიტორები პარალელურ რეჟიმში შეძლებენ გამოავლინონ რისკების ხარისხობრივი პარამეტრები. ასეთი მიდგომები ვთვლით, რომ აუდიტორს საშუალებას მისცემს სწორად შეაფასოს და გაიგოს დისტანციული მომსახურების სფეროში არსებული რისკების სტრუქტურა და გამოავლინოს მაღალი რისკის მქონე ობიექტები.

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შიდა აუდიტორთა რეკომენდაციები უნდა ემსახურებოდეს მომავალში განჭვრეტილი რისკის პრევენციას და არა უკვე დამდგარი ფაქტის საფუძველზე გაკეთებულ დაკსვენებს, რასაც სამწუხაროდ, ხშირად აქვს რეალურ პრაქტიკაში ადგილი.

მესამე თავის „რისკ მენეჯმენტის ეფექტიანობის ძირითადი ფაქტორები და მათი გავლენის არეალი ქართულ საბანკო ბიზნესზე“ პირველ ქვეთავში „ფინანსური და არაფინანსური რისკების ემპირიული ანალიზი და მართვა“, ძირითადად საოპერაციო და საკრედიტო რისკების რეგრესულ ანალიზს ეთმობა. მიღებული შედეგების საფუძველზე დავადგინეთ საკრედიტო და საოპერაციო რისკების გავლენა ბანკის ფინანსურ შედეგზე და შევიმუშავეთ რეკომენდაციები რისკების მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად.

საკრედიტო რისკის შეფასების რეგრესული მოდელის ასაგებად გამოვყავით მასზე მოქმედი ის შიდა და გარე ფაქტორები, რომლებიც ზრდის როგორც ფინანსურ, ასევე არაფინანსურ რისკს.

ნაშრომში კვლევის ძირითადი ნაწილია საკრედიტო და საოპერაციო რისკის რეგრესული განტოლების შერჩევა და ემპირიული ანალიზის ჩატარება. რისკის მოდელების აგებისას გათვალისწინებული იქნა შიდა ფაქტორთა ის ჯგუფი, რომლის გავლენა მაღალია კომერციულ ბანკების ფინანსურ შედეგზე. საკრედიტო რისკის საზომად აღებული იქნა ჯამური ვალდებულებების ჯამურ აქტივებთან ფარდობა (დამოკიდებული Y ცვლადი);

დამოუკიდებელი ცვლადები:

1. ჯამური ვალდებულება/ საკუთარ კაპიტალი -X1; 2. X2- ROE; 3. X3-ROA.

რეგრესული მოდელი აგებული იქნა შემდეგნაირად:

$$Y = \beta_0 + \beta_1 \times X1 + \beta_2 \times X2 + \beta_3 \times X3 \quad (1)$$

კვლევაში გაანალიზებულია საკრედიტო რისკი საქართველოს ბანკის 11 წლის მონაცემებზე დაყრდნობით (მონაცემები კომერციული ბანკის აუდიტის ანგარიშებიდან). საკრედიტო რისკზე მოქმედი ფაქტორების დამოკიდებულება არის წრფივი. დამოუკიდებელი ცვლადები გაანგარიშებულია 2007-2017 წლების მონაცემების მიხედვით, თითოეული წლისათვის. ანალიზის მიზანია დადგინდეს ყოველწლიურად საკრედიტო რისკზე კონკრეტული ეკონომიკური მაჩვენებლების ცვალებადობის გავლენა.

ცხრილი №1, საქართველოს ბანკის ფინანსური მონაცემები

წლები	ვალდებულებები	საკუთარი კაპიტალი	წმინდა მოგება	კაპიტალი	აქტივები
2007	2395620	557991	75642	557991	2953611
2008	2540058	718849	174000	718849	3258907
2009	2315012	598417	-98908	598417	2913429
2010	3311581	693341	82667	693341	4004922
2011	3852658	812603	135710	812603	4665261
2012	4594096	1061184	182745	1129786	5727018
2013	5279919	1244315	213800	1244315	6524234
2014	6076214	1461087	245984	1461087	7537301
2015	7778938	1224607	260722	1224607	9003545
2016	9499861	1265946	289094	1233144	10732932
2017	11138797	1481919	338907	1481919	12620716

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ცხრილი № 2, ეკონომიკური მაჩვენებლები

საკრედ. რისკი	0.811082	0.77942	0.7946	0.826878	0.825818	0.802179	0.809278	0.806152	0.863986	0.885113	0.88258
ვალდ/საკ. კაპ	4.293295	3.533507	3.86856	4.776266	4.741132	4.329217	4.243233	4.158694	6.352191	7.50416	7.516468
ROE	0.135561	0.242054	-0.16528	0.11923	0.167007	0.161752	0.171821	0.168357	0.212903	0.234437	0.228695
ROA	0.02561	0.053392	-0.03395	0.020641	0.029089	0.031909	0.03277	0.032636	0.028958	0.026935	0.026853

წყარო: კომერციული ბანკის ფინანსური ანგარიშგებები

ცხრილი №3, ეკონომიკური მაჩვენებლების მონაცემთა კორელაციური მატრიცას აქვს სახე

	Row 1	Row 2	Row 3	Row 4
Row 1	1			
Row 2	0.987466 ←	1		
Row 3	0.412063	0.428932	1	
Row 4	0.05781	0.074484	0.932181	1

წყარო: რეგრესული ანალიზი, ავტორის გათვლები

მატრიციდან ჩანს, რომ საკრედიტო რისკსა და „ვალდებულება/საკ.კაპიტალი“ მაჩვენებელს შორის არის ძლიერი წრფივი კავშირი, ასევე ძლიერი წრფივი კავშირია ROE და ROA-ს შორის ეს არცაა გასაკვირი, ორივე სიდიდე დამოკიდებულია მოგების სიდიდეზე.

შერჩეული მრავლობითი რეგრესიის მოდელის მიხედვით გამოთვლილია β - კოეფიციენტები.

$$\text{საკრედიტო რისკი} = \beta_0 + \beta_1 \times \frac{\text{ვალდ}}{\text{საკ.კაპ}} + \beta_2 \times \text{ROE} + \beta_3 \times \text{ROA} \quad (2)$$

	Coefficients
B0	0.789332654
B1	0.002386698
B2	0.785352462
B3	-3.808866234

$$\text{საკრედიტო რისკი} = 0.789332654 + 0.002386698 \frac{\text{ვალდ}}{\text{საკ.კაპ}} + 0.785352462 \text{ ROE} + -3.808866234 \text{ ROA} \quad (3)$$

შერჩეული მოდელის შეფასება F - ტესტით საკრედიტო რისკის განმსაზღვრელი ყველა ფაქტორის მიხედვით აჩვენებს, რომ მოდელი შერჩეულია სწორად და მიღებული შედეგებით შესაძლებელია ფაქტორთა ცვლილების გავლენის პროგნოზირება მომავალ პერიოდებში:

ცხრილი №4, რეგრესული მოდელის შედეგები და F-ტესტი (2007-2017 წლები)

აქტივები	df	SS	MS	F	Significance F	Multiple R	R Square
Regression	1	9,1113E+13	9,1113E+13	152,6756573	1,71497E-06	0,974787287	0,950210255
Residual	8	4,7742E+12	5,96775E+11				
Total	9	9,58872E+13					
ვალდებულებები	df	SS	MS	F			
Regression	1	7,5052E+13	7,5052E+13	112,154162	5,52293E-06	0,966136051	0,933418869

Residual	8	5,35349E+12	6,69186E+11				
Total	9	8,04055E+13					
საკუთარი კაპ.	<i>df</i>	<i>SS</i>	<i>MS</i>	<i>F</i>			
Regression	1	8,07617E+11	8,07617E+11	40,45759494	0,000218113	0,913732565	0,834907201
Residual	8	1,59697E+11	19962065059				
Total	9	9,67314E+11					
წმინდა მოგება	<i>df</i>	<i>SS</i>	<i>MS</i>	<i>F</i>			
Regression	1	90084519770	90084519770	14,92447852	0,004787042		
Residual	8	48288196948	6036024619		1,71497E-06		
Total	9	1,38373E+11				0,806863092	0,651028049

წყარო: ავტორის გათვლები

ცხრილი №4-ის გაგრძელება

რეგრესული ანალიზის შედეგებიდან ასევე ჩანს, რომ დეტერმინაციის კოეფიციენტი გარდა წმინდა მოგების კოეფიციენტისა, მოთავსებულია 0,914—0,975 ინტერვალში, ასევე მაღალია შესწორებული დეტერმინაციის კოეფიციენტი 0,835-0,950. ეს მონაცემები გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მოდელით ახსნილია მონაცემების 95% .

ფინანსური ანგარიშგების მაჩვენებლების დროში ცვლილების ანალიზით ე.ი. განვიხილოთ შესაბამისი დროითი მწკრივები. ცხრილის მიხედვით:

ცხრილი № 5, ფინანსური ანგარიშგების მაჩვენებელთა ცვლილება დროში

	წელი	ვალდ	საკუთ.კაპიტ	წმ.მოგება	აქტივები
წელი	1				
ვალდებულებები	0.95399	1			
საკუთარი კაპიტალი	0.930017	0.862117	1		
წმინდა მოგება	0.806005	0.833208	0.857944	1	
აქტივები	0.964401	0.998433	0.888912	0.847365	1

წყარო: რეგრესული ანალიზი, ავტორის გათვლები

კორელაციის კოეფიციენტთა მატრიციდან ჩანს, რომ კორელაციის კოეფიციენტი ყველა სიდიდესთან მიმართებაში 0, 83-ზე მეტია. ეს კი შესაძლებლობას იძლევა ფინანსური ანგარიშგების მაჩვენებლების დროში ცვლილების ანალიზით განვიხილოთ შესაბამისი დროითი მწკრივები.

ცხრილი № 6, ფინანსური ანგარიშგების მაჩვენებლების საპროგნოზო მონაცემები

დროზე დამოკიდებულების რეგრესიის წრფის ტოლობა	პროგნოზი	
	2018 წელი	2019 წელი
ვალდებულებები=-560942.0848+953793.1515*i	10884575.73	11838368.88
საკუთარი კაპიტალი=413111.0485+98940.88485*i	1600401.667	1699342.552
წმინდა მოგება = -32316.61818+33044.41818*i	364216.4	397260.8182
აქტივები = -132053.1636+1050904.564*i	1594041.133	1691174.648

წყარო: რეგრესული ანალიზი, ავტორის გათვლები

ცხრილი №7, საპროგნოზო მაჩვენებლების შედარება (2017-2018-2019წწ)

ფინანსური მონაცემები	2017	2018	%	2019	%
ვალდებულებები	11 138 797	10 884 575.73 (-)	2,3	11 838 368.88 (+)	8,7
საკუთარი კაპიტალი	1 481 919	1 600 401.667 (+)	7,9	1 699 342.552(+)	6,2
წმინდა მოგება	228 907	364 216.4 (+)	59,1	397 260.8182 (+)	9,1
აქტივები	12 071 662	12 478 801.6(+)	3,4	13 529 706.16 (+)	8,4
ვალდ/საკ. კაპ	7,5165	6.801152 (-)	9,5	6.966441 (-)	2,4
ROE	0,2287	0.228486 (-)	0,09	0.234902 (+)	2,8
ROA	0,0269	0.029187 (+)	7,4	0.029362 (+)	0,7
საკრედიტო რისკი	0,8826	0.873838 (-)	0,99	0.878604 (+)	0,01

წყარო: ავტორის გათვლები

რეგრესული მოდელის შერჩევის სისწორე კარგად ჩანს პროგნოზის მონაცემში. 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს ვალდებულებები მცირდება და შესაბამისად, აქტივების მოცულობა იზრდება, ამიტომ საკრედიტო რისკის მცირე ზომით, მაგრამ მაინც კლებას აქვს ადგილი. თანმიმდევრულმა მატებამ უნდა ელოდოს კომერციული ბანკო 2019 წელსაც, ვინაიდან საკრედიტო რისკის განმსაზღვრელი ორივე მაჩვენებელი იზრდება და საკრედიტო რისკის სულ მცირე, მეათასედში გამოსახული ცვლილება მატებისაკენ განხილვის საგნად არ იქცევა.

პროცენტებში გამოსახული ცვლილებები ზუსტად ვერ აჩვენებს კორელაციის შედეგად მიღებულ მტკიცებულებებს, მაგრამ ჩვენ ნაშრომში აღვნიშნეთ, რომ საკრედიტო რისკისა და მასზე მოქმედი ფაქტორების კორელაცია შეიძლება ჩაითვალოს წრფივად, თუ დამოკიდებულების გრაფიკი მოიცავს წრფივ უბნებს. გამომდინარე აქედან საკრედიტო რისკსა და ფინანსურ მაჩვენებლებს შორის დამოკიდებულებაში კორელაციის მიმართულების ზუსტი ასახვის არ ქონა ჩვენი

აზრით აღნიშნავს, მოცემულ მაჩვენებელთა გავლენის იგნორირებას. კორელაციის კოეფიციენტის სიდიდე და რეგრესული მოდელის შერჩევის პარამეტრების მოცემულობა გვარწმუნებს, რომ საპროგნოზო მაჩვენებლები მაღალი ალბათობით მოსალოდნელ მოვლენებს შეესაბამება.

როგორც აღვნიშნეთ, კომერციული ბანკის საქმიანობის შედეგზე არანაკლებ გავლენას ახდენს საოპერაციო რისკი, რომელიც მეცნიერ-პრაქტიკოსთა აზრით არაფინანსური რისკია, მაგრამ რისკ მენეჯმენტის მეთოდები მას განიხილავს, როგორც საკრედიტო რისკის წარმომქმნელ რისკ ფაქტორს. ამიტომაც ჩვენს მიერ შერჩეული იქნა რეგრესული მოდელი და ანალიზის საფუძველზე მიღებული კორელაციის კოეფიციენტებისა და დროში ცვლილების დამოკიდებულების გათვლებით გამოთვლილი იქნა საპროგნოზო მაჩვენებლები.

საოპერაციო რისკის რეგრესული მოდელი:

$$\text{საოპერაციო რისკი} = \beta_0 + \beta_1 \times \frac{\text{ჯამვალდ. საკ.კაპ}}{\text{საკ.კაპ}} + \beta_2 \times \frac{\text{ვადაგად.სესხი}}{\text{ჯამ.კრედიტი}} + \beta_3 \times \frac{\text{ჯამსაოპერ. ხარჯ}}{\text{ჯამ.აქტივ.}} + \beta_4 \times \frac{\text{სესხი ლიკვ.}}{\text{ჯამ.ანაზრები}} \quad (4)$$

განვიხილოთ ფინანსური ანგარიშგების ვალდებულებების დროში ცვლილება, ე.ი. ამ მაჩვენებლების დროითი მწკრივები

ცხრილი №8, კორელაციის კოეფიციენტები

	დრო	ვალდ.	საკ.კაპ	ვადაგად. სესხი	სულ კრედიტ	საოპერ. ხარჯი	აქტივები	წმ. მოგება	სააქც. კაპიტ
დრო	1								
ვალდ.	0.95399	1							
საკ.კაპ	0.930017	0.862117	1						
ვადაგად.სესხი.	0.667158	0.709929	0.460035	1					
სულ კრედ.	0.738687	0.859959	0.593814	0.841582	1				
საოპ.ხარ	0.807561	0.752576	0.678264	0.794675	0.716621	1			
აქტივები	0.963907	0.998593	0.887773	0.693019	0.843323	0.75461	1		
წმ.მოგ	0.806005	0.833208	0.857944	0.41728	0.659897	0.550706	0.84665	1	
სააქც.კაპიტ	0.939482	0.877761	0.997403	0.472294	0.624482	0.68897	0.901717	0.856887	1

წყარო: რეგრესული ანალიზი, ავტორის გათვლები

კორელაციის კოეფიციენტთა მატრიციდან ჩანს, რომ ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, აქტივები და სააქციო კაპიტალი დროის ზრდასთან ერთად წრფივად იზრდება, რადგან შესაბამისი კორელაციის კოეფიციენტები 1-თან ახლოს მყოფი სიდიდეებია. ასევე, წრფივი რეგრესიის მოდელის გამოყენებით შეგვიძლია განვიხილოთ საოპერაციო ხარჯების და წმინდა მოგების დროითი მწკრივები, ასევე შედარებით სუსტ წრფივ კავშირად შეგვიძლია განვიხილოთ კრედიტების და

ვადაგადაცილებული კრედიტების დროითი მწკრივები, რადგან მათი კორელაციის კოეფიციენტები არც თუ ისე მცირე , ახლოა 0,7-თან.

ცხრილი№ 9, ფინანსური ანგარიშგების მაჩვენებლების საპროგნოზო მონაცემები

დროზე დამოკიდებულების რეგრესიის წრფის ტოლობა	პროგნოზი	
	2018 წელი	2019 წელი
ვალდებულებები=-560942.0848+953793.1515*i	10884575.73	11838368.88
საკუთარი კაპიტალი=413111.0485+98940.88485*i	1600401.667	1699342.552
წმინდა მოგება = -32316.61818+33044.41818*i	364216.4	397260.8182
აქტივები = -147691.6424+1052727.976*i	12485044.07	13537772.04
სააქციო კაპიტალი = 369260.7576+101789.5758*i	1590735.667	1692525.242
ვადაგადაცილებული სესხი=231359.303+26372.8303*i	547833.2667	574206.097
სულ კრედიტები =7535.818182+12668.58182*i	103098.4	110634.2182
საოპერაციო ხარჯები = 418040.9152+42506.55152*i	928119.5	970626.1

წყარო: რეგრესული ანალიზის შედეგები

ვადაგადაცილებული სესხის, სულ კრედიტებისა და საოპერაციო ხარჯების სუსტი კორელაციის გამო ამ მოდელით კავშირები ახსნილია შესაბამისად: ვადაგადაცილებული სესხი -54%; ჯამური კრედიტების მაჩვენებელი -73%; საოპერაციო ხარჯი -78%. სუსტი კავშირი, რა თქმა უნდა არ გულისხმობს მოცემული ფაქტორების გამორიცხვას საოპერაციო რისკის შეფასებიდან, მაგრამ რისკ მენეჯმენტის მიერ რისკების გამომწვევი ფაქტორების რანჟირებისას უნდა გაითვალისწინოს, რომ მაჩვენებლები, რომელთა ახსნა მოცემული მოდელით დაბალი პროცენტით ხდება, გააძლიეროს მათდამი ყურადღება ექსპერტული შეფასების პროცესში.

ცხრილი№10, რეგრესული მოდელის შედეგები და F-ტესტი (2007-2017 წლები)-საოპერაციო რისკი

Regression Analysis	საოპერაციო რისკი					
Regression Statistics						
Multiple R	0.999426805					
R Square	0.998853939					
Adjusted R Square	0.99793709					
Standard Error	0.01435078					

Observations	10					
ANOVA						
	<i>df</i>	<i>SS</i>	<i>MS</i>	<i>F</i>	<i>Significance F</i>	
Regression	4	0.897460275	0.224365069	1089.442217	1.55501E-07	
Residual	5	0.001029725	0.000205945			
Total	9	0.89849				
	<i>Coefficients</i>	<i>Standard Error</i>	<i>t Stat</i>	<i>P-value</i>	<i>Lower 95%</i>	<i>Upper 95%</i>
თავისუფალი წვერი	-0.129747421	0.042727278	-3.036641381	0.028861353	-0.239581386	-0.019913456
ვალდ/სააქ.კა	-0.000660436	0.004576719	-0.144303413	0.890896921	-0.012425266	0.011104394
ვადაგ/კრედიტები	-0.000897984	0.002754255	-0.326035321	0.757601131	-0.007978022	0.006182053
საო/აქტივები	0.423208923	0.2016852	2.098363795	0.08993981	-0.09523939	0.941657236
ლიკვ/ანაზრები	0.319935385	0.008125503	39.37422715	1.99181E-07	0.299048116	0.340822654

წყარო: რეგრესული ანალიზი

ცხრილი №10-ის გაგრძელება

როგორც ცხრილიდან ჩანს, დეტერმინაციის კოეფიციენტი, ისევე როგორც შესწორებული დეტერმინაციის კოეფიციენტი არის 0.99, რაც გვამღებს იმის საფუძველს ვთქვათ, რომ ამ მოდელით ახსნილია მონაცემების 99 % და მოდელი სწორად არის შერჩეული.

რეგრესული მოდელი საოპერაციო რისკის ფაქტორებზე დამოკიდებულების მიხედვით, არის შემდეგი:

$$\text{საოპერაციო რისკი} = -0.129747421 - 0.000660436 \times \text{ვალდ/სააქ.კა} - 0.000897984 \times \text{ვადაგ/კრედიტები} + 0.423208923 \times \text{საოპ/აქტივები} + 0.319935385 \times \text{ლიკვ/ანაზრები}. \quad (5)$$

ცხრილი №11, საპროგნოზო მაჩვენებლების შედარება (2017-2018-2019წწ)--საოპერაციო რისკი

ფინანსური მონაცემები	2017	2018	%	2019	%
ვალდებულებები	11 138 797	10 884 575.73 (-)	2,3	11 838 368.88 (+)	8,7
საკუთარი კაპიტალი	1 481 919	1 600 401.667 (+)	7,9	1 699 342.552(+)	6,2
ვადაგად.კრედიტები	551380	547833.3 (-)	0,7	574206.1(+)	4,8
საოპერ. ხარჯები	1028342	928119.5 (-)	9,7	970626.1(+)	4,5
სააქციო კაპიტალი	1481919	1590736 (+)	7,3	1692525(+)	6,3
წმინდა მოგება	228 907	364 216.4 (+)	59,1	397 260.8182 (+)	9,1
აქტივები	12 071 662	12 478 801.6(+)	3,4	13 529 706.16 (+)	8,4
ჯამური კრედიტი	171106	103098.4 (-)	39,7	110634.2182(+)	7,3
ვალდ/სააქ. კაპიტალი	7,52	6.842479 (-)	9,0	6.994501 (+)	2,4

ვადაგად/ჯამურ. კრედიტები	3,22	5.313693(+)	0,09	5.190131 (-)	2,8
საოპერაც. ხარჯ/აქტივები	0,08	0.074339 (-)	7,4	0.071698 (-)	0,7
ლიკაქტ/ანაბრები	0,40	0.4	0	0.4	0
საოპერაციო რისკი	0,03	0.020397 (-)	0,99	0.01929 (-)	0,01

წყარო: ავტორის გათვლები

ცხრილი №11-ის გაგრძელება

„ვადაგადაცილებული სესხი/სააქციო კაპიტალი“ რისკის ფაქტორის საოპერაციო რისკთან კორელაცია არის უარყოფითი, შესაბამისად, ერთის გაზრდა იწვევს მეორის შემცირებას. ეს კანონზომიერება სრულდება 2019 წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან მიმართებაში. „ვადაგადაცილებული კრედიტ/ჯამურ კრედიტთან“ ასევე უარყოფითი კორელაცია დაფიქსირდა, და კანონზომიერება 2018 წლის მაჩვენებლის მიმართ შესრულებადია.

როგორც რეგრესული ანალიზიდან გამოვლინდა, ზოგიერთი მაჩვენებლის მოცემული მოდელით ახსნის პროცენტი დაბალია (ვადაგადაცილებული კრედიტი; ჯამური კრედიტი და საოპერაციო ხარჯი). საინტერესოა, როგორია მათი გავლენა საოპერაციო რისკზე: ცხრილში მოცემული სიდიდეების მიხედვით, ზემოთ ჩამოთვლილ მაჩვენებლებსა და საოპერაციო რისკს შორის 2018 წლისათვის უნდა იყოს სწორი რეგრესული კავშირი, ხოლო 2019 წლისათვის ისევ უკუდამოკიდებულებას აქვს ადგილი. თუმცა, მსჯელობა საპროგნოზო მაჩვენებლებზე დაყრდნობით მოხდა და სავსებით მოსალოდნელია სხვა (გარე) ფაქტორების გავლენით გათვლილი კოეფიციენტები შეიცვალოს.

ამრიგად, ჩატარებული რეგრესული ანალიზი ქვეყნის სისტემური ბანკის მონაცემებით ადასტურებს, რომ საბანკო რისკებზე (საკრედიტო, საოპერაციო) მოქმედი ფაქტორები კორელირებადია მოცემულ რისკებთან. რეგრესული განტოლებების შედგენის საფუძვლად, აღებული იქნა საქართველოს საბანკო სისტემის კომერციული ბანკების ფინანსური მონაცემების ანალიზი, აუდიტის ანგარიშში მოტანილი რისკ ფაქტორები, ექსპერტთა შეფასებები, მეცნიერ მკვლევართა მიდგომები რისკების მართვის მოდელებისადმი. რეგრესული მოდელის დეტერმინაციის მაღალმა კოეფიციენტმა დაადასტურა არჩეული მოდელის სისწორე. მცირე შეუსაბამობები კორელაციის კოეფიციენტის მიხედვით, რისკის ზომასა და მოქმედ ფაქტორებს შორის, დროის მოკლე ინტერვალებში, განპირობებულია საბანკო სფეროში არსებული სხვა სახის რისკების გააქტიურებით.

კვლევის შედეგად გამოვლინდა ფაქტორები, რომლებიც არსებითად გავლენას ახდენენ ფინანსურ და არაფინანსურ რისკებზე. ვადაგადაცილებული სესხი, მიუხედავად რეგრესული ანლიზისა, 54%-ით არის ახსნილი მოცემულ მოდელში, მისი გავლენა საოპერაციო რისკზე მაინც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, რაც საპროგნოზო მაჩვენებლებში დადასტურდა. საოპერაციო რისკის უშუალოდ განმსაზღვრელი მაჩვენებლები წმინდა მოგება/ჯამ. აქტივები დადებით კორელაციაშია საოპერაციო რისკთან, თუმცა, შემადგენელი კომპონენტების არათანაბარმა ზრდამ საოპერაციო რისკი შეამცირა. გამართლებულად მიგვაჩნია საკრედიტო და საოპერაციო რისკების ეკონომიკური მაჩვენებლებით შეფასება. ვთვლით, რომ ამგვარი მეთოდით გამოტანილი დასკვნა რისკ მენეჯმენტს მისცემს სწორ მიმართულებას რისკის შემცირების ღონისძიებების შესამუშავებლად, რადგან რისკ მენეჯმენტი ფინანსური მენეჯმენტის ნაწილია, სწორედ აღნიშნული ეკონომიკური მაჩვენებლების კონტროლირებადი იქნება ფინანსური მენეჯმენტის მიერ, და რისკ მენეჯმენტს ექმნება შესაძლებლობა მეტი დრო დაუთმოს სხვა სახის რისკების გამოვლენას და მათ მართვას.

გარდა რეგრესული მოდელით საოპერაციო რისკის შეფასებისა, ბანკის რისკ მენეჯმენტმა უნდა გაითვალისწინოს საოპერაციო რისკის გავლენის შესაძლებლობა ბანკის რეპუტაციაზე, ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე, კომპანიის არამატერიალურ აქტივებზე, რაც ბანკის კლიენტთა ბაზის გაზრდის და წარმატებული საქმიანობის წინაპირობაა.

მეორე ქვეთავში „ ვადაგადაცილებული სესხებით გამოწვეულ საკრედიტო რისკთან მაკროეკონომიკური მაჩვენებლის კორელაციის დადგენა და პროგნოზირება“ შესწავლილი გვაქვს საქართველოს საბანკო სისტემის სისტემა, განმსაზღვრელი ბანკების ფინანსური მონაცემებით, გაანგარიშებულია ვადაგადაცილებული სესხებით წარმოქმნილი საკრედიტო რისკის ბანკის საკრედიტო პორტფელის მოცულობასთან მიმართებაში პროცენტული მაჩვენებელი და პირსონის კორელაციის კოეფიციენტის გათვლით, დადგენილია 2007-2017 წლებში მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენის ძალა. რისკების შეფასების საერთო პროგრამის „GRAPE“-ს თანახმად, კვლევის ობიექტად ავიღეთ სამი

სისტემური კომერციული ბანკის ვადაგადაცილებული სესხებით წარმოქმნილ საკრედიტო რისკზე მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენა.

ლიბერთი ბანკის ფინანსური მონაცემების შესწავლით აღმოჩნდა, რომ ბანკის საკრედიტო პორტფელში 70%-80% (2007-2017წწ) კრედიტი გაცემულია ფიზიკურ პირებზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ბანკი მოწინავე პოზიციას ინარჩუნებს წლების განმავლობაში და მომგებიანობით პირველ ადგილზე დგას, გაცემული სესხი დაახლოებით 50% ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხია. თიბისი ბანკის ფინანსური მონაცემების დინამიკიდან ჩანს, რომ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხის მოცულობა ზრდადია (დანართები №1-3).

ფინანსური მონაცემების შესწავლის შედეგად გაგვიჩნდა კითხვები: რატომ აკეთებს აქცენტს ქვეყნის საბანკო სისტემის განმსაზღვრელი ბანკი ფიზიკური პირების დაკრედიტებაზე? ქმნის თუა არა ამგვარი მიდგომა ვადაგადაცილების საფრთხეს არასტაბილური ეკონომიკის მქონე ქვეყანაში? ახდენს თუ არა პირდაპირ გავლენას მაკროეკონომიკური ფაქტორები მსესხებლის გადახდისუნარიანობაზე და არაპირდაპირ კომერციული ბანკი საკრედიტო რისკის წარმოქმნაზე? რომლებზეც პასუხი ჩვენს მიერ გაცემული იქნა ფაქტორებისა და საკვლევ მაჩვენებლებს შორის კორელაციურ კავშირის შესწავლით.

ქვეყნის არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა გამოწვეული (2008-2009წწ) ფინანსური კრიზისით, სამხედრო კონფლიქტით, გახდა ფიზიკური პირების გადახდისუნარიანობის შემცირების მიზეზი, რაც სამუშაო ადგილების დაკარგვაში აისახა. მაკროეკონომიკური ინდიკატორების საკრედიტო რისკზე გავლენის დასადგენად გამოვიყენეთ პირსონის კორელაციის კოეფიციენტი, რომელიც დაფუძნებულია ცვლადებს შორის წრფივ დამოკიდებულებაზე. რა თქმა უნდა იდეალური წრფივი დამოკიდებულება იშვიათად არსებობს ეკონომიკურ ცვლადებს შორის, მაგრამ პირსონის კრიტერიუმი გამოყენებადია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ცვლადებს შორის დამოკიდებულების გრაფიკის ცალკეული უბნები წრფივია. მეთოდის გამოყენების ვალიდურობის დასადგენად, აგებულია ცვლადებს შორის დამოკიდებულებების გრაფიკები.

გამოყენებული მეთოდის ალგორითმი დაფუძნებულია საკვლევ ცვლადების საშუალო სიდიდიდან გადახრის გამოყენებაზე:

$$R = \frac{\sum(dx \times dy)}{\sqrt{\sum dx^2 \times \sum dy^2}} \quad (1)$$

სადაც, R -არის პირსონის კორელაციის კოეფიციენტი, dx და dy ცვლადების საშუალო სიდიდიდან გადახრის ზომა. პირსონის კორელაციის კრიტერიუმი არის პარამეტრული სტატისტიკის მეთოდი, რომელიც აფასებს ცვლადებს შორის კავშირის სიმჭიდროვეს და დამოუკიდებელი ცვლადის სტატისტიკურად მნიშვნელოვნებას. სტატისტიკურად მნიშვნელოვნების დასადგენად გამოითვლება კორელაციის კრიტერიუმი t_r რომლის შედარებით კრიტიკულ კრიტერიუმთან $t_{კრიტ.}$ (აიღება ცხრილიდან) დადგინდება კორელაციის კოეფიციენტის სტატისტიკური მნიშვნელობა:

$$t_r = \frac{R \times \sqrt{n-2}}{\sqrt{1-R^2}} \quad (2)$$

სადაც, n არის შერჩევის რაოდენობა. კრიტიკული კრიტერიუმი ცხრილიდან აიღება სანდოობის ინტერვალის ($p \leq 0,05$ და $p \leq 0,01$) და თავისუფლების ხარისხის მიხედვით ($t_{კრიტ.}$).

თუ $t_r > t_{კრიტ.}$ დასტურდება, რომ კორელირებულ ცვლადებს შორის კავშირი შემთხვევითი არ არის; ხოლო, თუ $t_r < t_{კრიტ.}$ მაშინ ცვლადები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია.

დამოკიდებულების დადგენაზე ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ უმუშევრობის დონის მაჩვენებელი აცდენილია რეალურ მაჩვენებელს, ხოლო ინფლაციის ზრდა ქვეყნის გარეთ წარმოქმნილი ფაქტორებით არის გამოწვეული, მათი რეგრესული მრავალფაქტორიანი მოდელით განხილვა ვერ შექმნიდა რეალურ სურათს. პირსონის კორელაციის მეთოდის გამოყენება მოითხოვს პირობებს: ცვლადებს შორის წრფივ კორელაციას, ეკონომიკური პროცესების ნორმალური განაწილების კანონზე დაქვემდებარებას. ვუშვებთ პირობას, რომ განსახილველი პარამეტრების ცვლილება ექვემდებარება ნორმალური განაწილების კანონს. წრფივი დამოკიდებულების დასადგენად აგებულია ცალკეულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა და საკრედიტო რისკის კავშირის გრაფიკი.

პირსონის კორელაციის კოეფიციენტის, კრიტიკული კრიტერიუმის გაანგარიშებით მიღებული შედეგები ასახულია ცხრილში.

Y-ვადაგადაცილებული სესხის /საკრედიტო პორტფელის მოცულობა;

X1-მაკროეკონომიკური მაჩვენებელი-უმუშევრობა;

X2--მაკროეკონომიკური მაჩვენებელი-მშპ;

X3-მაკროეკონომიკური მაჩვენებელი-ინფლაცია;

ცხრილი№12, პირსონის კორელაციის გაანგარიშების შედეგი

2007 – 2011 წწ.

საქართველოს ბანკი											
მაკროეკონომიკური ცვლადი	$\sum dx$	$\sum dy$	$\sum dx^2$	$\sum dy^2$	$\sum (dx * dy)$	პირსონის კორელაციის კოეფიციენტი			პირსონის კორელაციის კრიტერიუმი		
						Rx1	Rx2	Rx3	t1	t2	t3
უმუშევრობა	0,1	10,91	29,46	462,99	67,42	0,58			2,12		
მშპ	0,01	10,91	80,55	462,99	57,1		0,30			0,94	
ინფლაცია	0,01	10,91	155,89	462,99	22,43			0,08			0,24
თიბისი ბანკი											
უმუშევრობა	0,01	38,42	29,92	4815,300	144,61	0,38			1,12		
მშპ	0,01	38,42	80,54	4815,30	54,25		0,09			0,27	
ინფლაცია	0,01	38,42	300,27	4815,30	492,1			0,4			1,3
ლიბერთი ბანკი											
უმუშევრობა	0,10	0,01	29,92	759,9	-12,41	-0,08			-0,24		
მშპ	0,01	0,01	80,54	759,9	160,54		0,65			2,56	
ინფლაცია	0,01	0,01	155,89	759,9	167,41			0,49			1,68

წყარო: კომერციული ბანკების ფინანსური მონაცემები, სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ავტორის გაანგარიშებები

მიღებული შედეგის მიხედვით, გაანალიზებულა ცალკეული ბანკის ვადაგადაცილებული სესხით წარმოქმნილ საკრედიტო რისკზე მაკროეკონომიკური მაჩვენებლების კავშირის ფასი, ძალა და მნიშვნელოვანება.

საქართველოს ბანკი - Rx1 =0.58(უმუშევრობა) -პირსონის კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობათა ინტერვალის მიხედვით აჩვენებს, რომ ვადაგადაცილებული

კრედიტით წარმოქმნილ საკრედიტო რისკსა და ქვეყანაში 2007-2017 წლის განმავლობაში უმუშევრობის დონის ცვალებადობას შორის, კორელაცია არის საშუალო. კორელაციის მნიშვნელოვნების დასადგენად გათვლილია პირსონის კრიტერიუმი და შედარებულია კრიტიკულ კრიტერიუმთან (ცხრილი №). $t_{r1} = 2,12$, $t_{კრიტიკ} = 0,60$, როცა $p \leq 0,05$ და $t_{კრიტიკ} = 0,74$, როცა $p \leq 0,01$. ე.ი. $t_{r1} = 2,12 > t_{კრიტიკ}$. როგორც ვხედავთ, მიუხედავად დაბალი კორელაციისა, უმუშევრობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ვადაგადაცილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის შეფასებისათვის.

$R_{x1} = 0,30$ (მშპ), $t_{r2} = 0,94$, $t_{კრიტიკ} = 0,60$, როცა $p \leq 0,05$ და $t_{კრიტიკ} = 0,74$, როცა $p \leq 0,01$. კრიტიკული კრიტერიუმის პირობის მიხედვით, $t_{r2} > t_{კრიტიკ}$. რაც გულისხმობს, რომ მიღებული კორელაცია უტყუარია ორივე შემთხვევაში 95%-99% საიმედოობით.

$R_{x1} = 0,08$ (ინფლაციის ტემპთან კორელაცია) - არის სუსტი. კორელაციის კრიტერიუმი $t_{r3} = 0,24$, $t_{კრიტიკ} = 0,60$, და $t_{კრიტიკ} = 0,74$, როგორც ვხედავთ პირსონის კორელაციის კრიტერიუმი ნაკლებია კრიტიკულ კრიტერიუმზე. ამ შემთხვევაში მეთოდის კანონზომიერებიდან გამომდინარე, საკრედიტო რისკი და ინფლაცია დამოუკიდებელი ცვლადებია, რაც არ შეესაბამება რეალობას.

თიბისი ბანკი - $R_{x2} = 0,58$ (უმუშევრობა)

$t_{r2} = 1,12$, $t_{კრიტიკ} = 0,60$, როცა $p \leq 0,05$ და $t_{კრიტიკ} = 0,74$, როცა $p \leq 0,01$.

ე.ი. $t_{r2} = 1,12 > t_{კრიტიკ}$.

$R_{x2} = 0,09$ (მშპ), $t_{r2} = 0,27$, ამ შემთხვევაშიც $t_{r2} = 1,12 > t_{კრიტიკ}$. უმუშევრობასთან დამოკიდებულების ფასი ანუ კორელაციის ძალა ცვლადებს შორის დიდია.

$R_{x2} = 0,4$ (ინფლაცია), $t_{r2} = 1,3 > t_{კრიტიკ}$.

ლიბერთი ბანკი - სიტუაცია შეიცვალა ლიბერთი ბანკთან მიმართებაში:

$R_{x3} = -0,08$ (უმუშევრობა), $t_{r1} = -0,24$, მიღებული შედეგის მიხედვით, უარყოფითი დამოკიდებულებაა ცვლადებს შორის ანუ უმუშევრობის შემცირება ვადაგადაცილებული სესხით წარმოქმნილი საკრედიტო რისკის ზრდას გამოიწვევს. ეკონომიკური კანონზომიერების მიხედვით, უმუშევრობის შემცირება თუ ის გამოწვეულია დასაქმების ზრდით და არა მიგრაციით, მოსახლეობის შემოსავლებზე

ასახევა დადებითად, რის შედეგადაც სესხზე გადახდისუნარიანობა იზრდება და მცირდება ბანკის საკრედიტო რისკი.

$R_{x3} = 0,65$ (მშპ), $t_{x3} = 2,56$, ამ შემთხვევაშიც $t_{x2} = 2,56 > t_{კრიტიკ}$. სტატისტიკურად მნიშვნელოვნების ძალა დიდია.

$R_{x3} = 0,49$ (ინფლაცია), $t_{x2} = 1,68 > t_{კრიტიკ}$.

თითოეული მაკროეკონომიკური მაჩვენებლის გავლენა ვადაგადაცილებული სესხით წარმოქმნილ საკრედიტო რისკზე შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა:

საქართველოს ბანკის მოგება განხილული წლების განმავლობაში ზრდადი დინამიკით ხასიათდება და ამ პარამეტრით პირველ ადგილზეა, ვადაგადაცილებული სესხის თანაფარდობა საკრედიტო პორტფელთან უმაღლესი 22-24 % დაფიქსირდა 2008-2009 წლებში, რაზედაც გავლენა ცნობილმა მოვლენებმა მოახდინა. პირსონის კოეფიციენტი შესაბამეა უმუშევრობისა და მთლიანი შიდა პროდუქტის გავლენის ძალას, მაგრამ ინფლაციის მაღალი კრიტერიუმი საწინააღმდეგოდ მეტყველებს: საკრედიტო რისკი და ინფლაცია დამოუკიდებელი ცვლადებია - რაზედაც ქვემოთ მოგახსენებთ.

თიბისი ბანკთან მიმართებაში პირსონის კოეფიციენტი და კრიტერიუმები კარგად ხსნის რისკის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე დამოკიდებულებას, კერძოდ მიღებული შედეგების მიხედვით თიბისი ბანკის საკრედიტო რისკი მგრძნობიარეა უმუშევრობასთან მიმართებაში.

განხილულ ბანკებს შორის **ლიბერთი ბანკი** არ გამოირჩევა მაღალი მოგებით, სესხის 70-80% ფიზიკურ პირებზე გაცემით უმუშევრობასთან კორელაციის კოეფიციენტი ყველაზე მაღალი უნდა ყოფილიყო, თუმცა, როგორც ზემოთ არის აღნიშნული უარყოფითი კორელაციაა მაღალი.

პირსონის კორელაციის მეთოდის გამოყენება ჩვენი აზრით, ყველაზე მაღალი ალბათობით ახასიათებს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების საკრედიტო რისკზე გავლენის ძალას, მაგრამ ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული სიდიდეები ნაწილობრივ აცდენილია რეალურად მისაღებ კავშირს.

ყველაზე მგრძნობიარე მაკროეკონომიკური მაჩვენებლის სუსტი კორელაცია აჩენს კითხვებს, როგორ ხდება ინფლაციის საკრედიტო რისკზე გავლენის

შესუსტება. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარულ პოლიტიკის ანგარიშებში (2007-2017წწ) ვკითხულობთ, მონეტარული პოლიტიკის ღონისძიებები მიმართულია საბანკო რისკების შემცირებაზე, ბანკებისა და კლიენტების აქტიურობის ზრდით, თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ ძირითადი ინსტრუმენტად გამოყენებულია რეფინანსირება. რეფინანსირება კომერციულ ბანკს იცავს საკრედიტო რისკის ზრდისაგან მოკლევადიან პერიოდში, მაგრამ საშუალოვადიან პერიოდში, სხვა ფაქტორებთან ერთად იწვევს მოსახლეობის გადახდისუნარიანობის შემცირებას და ბანკს ბუმერანგით უბრუნდება ვადაგადაცილებული კრედიტების სახით.

მონეტარული პოლიტიკის ფორმირება საპროგნოზო ინფლაციის მაჩვენებლის მიხედვით ხდება, მაგრამ საქართველო პატარა და ღია ეკონომიკის ქვეყანაა, რომელზეც მოქმედებს პარტნიორ ქვეყნებში განვითარებული შოკური პროცესები და ფაქტიური შედეგი გადაიხრება დაგეგმილისაგან. ნაშრომში გათვლილი კორელაციის კოეფიციენტების მიხედვით საკრედიტო რისკზე ყველაზე მეტად გავლენას მთლიანი შიდა პროდუქტი ახდენს, შემდეგ უმუშევრობა და ბოლოს ინფლაცია, თუმცა ცხრილში მოტანილი წლიური მონაცემების შეპირისპირებიდან ჩანს, რომ მაღალ საკრედიტო რისკს შეესაბამება ერთ შემთხვევაში მაღალი მთლიანი შიდა პროდუქტი, სხვა შემთხვევაში მთლიანი შიდა პროდუქტის დაბალი მაჩვენებელი.

2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით ვადაგადაცილებული სესხები ქართულ საბანკო სისტემაში 36,6 მლნ. ლარით გაიზარდა. აქედან 41,5% ეროვნული ვალუტით არის დენომირებული, რაც მიუთითებს დოლარიზაციის სიჭარბეზე. ამ პერიოდში ინფლაციის ზრდის ტემპი 2007-2017 წწ. მიხედვით, ყველაზე დაბალია (1,8%). აქედანაც ჩანს, რომ პერიოდულად ინფლაციის გავლენა საკრედიტო რისკზე სუსტია და ვადაგადაცილებით საკრედიტო რისკის ზრდა სხვა ფაქტორებით არის გამოწვეული. კერძოდ, გაზრდილი უმუშევრობა, გაცვლითი კურსი, სიღარიბის დონე, შემოსავლების უთანასწორობა, რისკების არასწორი შეფასება და სხვა. რაც შეესაბამება გათვლილ კორელაციის მაჩვენებელს (საქართველოს ბანკი-0,08) ეს აიხსნება იმით, რომ ერთის მხრივ, სებ-ის მონეტარული პოლიტიკა დაიგეგმა არასწორ პროგნოზირებულ მაჩვენებელზე დაყრდნობით, და მეორეს მხრივ, მიზეზი შოკური პროცესები გახდა.

მიღებული კორელაციის მნიშვნელობები იძლევა შესაძლებლობას შევადგინოთ ცვლადებს შორის წრფივი ფუნქციის განტოლება, რომლის ახსნით შესაძლებელი იქნება შოკური პროცესების გავლენის დადგენა საკვლევ მაჩვენებელზე.

$$Y = \beta_0 + \beta_1 \times X_1 \quad (3)$$

1. ვადაგადაცილებული სესხით წარმოქმნილი საკრედიტო რისკი-- Y;

2. მაკროეკონომიკური მაჩვენებელი--x;

3. პირსონის კორელაციის კოეფიციენტი – β_1 ;

$$\beta_0 = Y - \beta_1 \times X_1 \quad (4)$$

მოცემული განტოლების ამოხსნით, შესაძლებელია მაკროეკონომიკური ფაქტორების შოკური მაჩვენებლების გავლენის დადგენა საკვლევ მაჩვენებელზე.

შოკური სცენარი განვიხილოთ საქართველოს ბანკის მაგალითზე:

I-უმუშევრობა, $\beta_0 = 10,91 - 0,58 \times 16,27 = 1,48$

II-მშპ, $\beta_0 = Y - \beta_1 \times X_1 = 10,91 - 0,30 \times 5,19 = 9,35$

III- ინფლაცია, $\beta_0 = 10,91 - 0,08 \times 4,37 = 10,56$

დავუშვათ, მოსალოდნელია მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირება 7%-ით, კორელაციური კავშირიდან და სანდოობის ინტერვალიდან გამომდინარე, გავლენა ვადაგადაცილებული სესხებით გამოწვეულ საკრედიტო რისკზე იქნება:

$$Y = \beta_0 + \beta_1 \times x_1 = 9,35 + 0,3 \times (-7,0) = 7,25$$

ე.ი საკრედიტო რისკის შემცირდება 7, 25%-ით. არის თუ არა მოცემული სიტუაცია მისაღები კომერციული ბანკისათვის და რა ფაქტორები იწვევენ საკრედიტო რისკის შემცირებას? თავისთავად მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირება გულისხმობს ეკონომიკური აქტივობის შესუსტებას, შესაბამისად, ბანკი ვეღარ გასცემს კრედიტს და საკრედიტო რისკის წარმოქმნის საფრთხეც მცირდება.

ინფლაციის ზრდა მიუხედავად, სუსტი კორელაციისა, რომლის მიზეზი ახსნილია ზემოთ, საკრედიტო რისკის ზრდით უნდა გამოისახოს. დავუშვათ, მოსალოდნელი რისკებისაგან დაცვის მიზნით, სტრეს ტესტის სცენარი აგებული იქნა ინფლაციის ზრდაზე 15 %-ით მაშინ,

$$Y = \beta_0 + \beta_1 \times X_2 = 10,56 + 0,08 \times 15,0 = 9,36$$

როგორც ვხედავთ, ინფლაციის 15%-იანი ზრდით მოსალოდნელია საკრედიტო რისკი გაიზარდოს 9,36 %-ით. ასეთ შემთხვევებში სებ-ი ატარებს მონეტარული პოლიტიკის

განაკვეთის ცვლილების ღონისძიებას, კერძოდ, რეფინანსირების სესხის საშუალებით საბანკო სისტემას აწოდებს მოკლევადიან (7დღე) ლიკვიდობას აუქციონისა და გორაოს საფუძველზე, რითაც ნაწილობრივ უზრუნველყოფს საბანკო სისტემის რისკისაგან დაცვას. შოკებზე გათვლილი ქმედებები სებ-ს და ცალკეულ კომერციულ ბანკს „აფხიზლებს“, რაც მოსალოდნელ მოვლენებზე რეაგირების მოქმედებების დაგეგმვის შესაძლებლობას აძლევს.

როგორც გათვლებმა აჩვენა, საშუალო კორელაცია არის უმუშევრობის დონესთან:

$$Y = \beta_0 + \beta_1 \times X_2 = 1,48 + 0,4 * 8,0 = 4,68$$

ე.ი უმუშევრობის 8%-ით გაზრდის შემთხვევაში საკრედიტო რისკი გაიზრდება დაახლოებით 4,68%-ით. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან უმუშევრობის ზრდა ამცირებს მოსახლეობის შემოსავლიანობას და შესაბამისად, ადებულ კრედიტებზე გადახდისუნარიანობა ეცემა. უმუშევრობასთან მიმართებაში მიღებული კორელაცია ამ ორ ცვლადს შორის კავშირის მართებული მაჩვენებელი არ არის.

საქართველოში უმუშევრობის დონე შემცირებულია დასაქმებულთა რაოდენობაში თვითდასაქმებულთა ჩათვლით, რომელთა დიდი ნაწილი დაბალ შემოსავლიანია ან მხოლოდ ოჯახის შენახვისათვის აწარმოებს საოჯახო მეურნეობას. საქართველოში ბოლო ორი წლის განმავლობაში კრედიტის გაცემის პროცედურების ლიბერალიზაციამ დიდი როლი ითამაშა ვადაგადაცილებული სესხების მოცულობის ზრდაში, განსაკუთრებით იმ კომერციულ ბანკებში, რომელთა საკრედიტო პორტფელი ძირითადად ფორმირებული იყო ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხით.

ჩვენს მიერ ჩატარებული გათვლებმა გამოავლენა პრობლემათა კვლევის მიმართულებები საბანკო რისკ მენეჯმენტის ეფექტური მართვის მეთოდებში, რომელთა კვლევა გამოყენებული მეთოდიკით კომერციულ ბანკებს შესაძლებლობას მისცემს ეტაპობრივად, ექსპერტული შეფასებით იდენტიფიცირებული რისკები გაანალიზონ რაოდენობრივი მეთოდით და შეიმუშაონ ეფექტიანი ღონისძიებები.

შესწავლილ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩატარებული გათვლები იძლევა შესაძლებლობას ჩამოვყალიბოთ შემდეგი წინადადებები:

- ბანკებმა საკრედიტო რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით გაამკაცრონ საკრედიტო პოლიტიკა და უფრო დეტალურად აწარმოონ კლიენტთა ბიზნეს რისკების შეფასება შოკების სცენარებით, რაც შეამცირებს დარგობრივი რისკების

გენერირებას საკრედიტო რისკებში.

- კორელაციის უტყუარობის ხარისხის ამაღლებისათვის გათვლები ჩატარდეს რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლებლობის ფარგლებში რაოდენობრივი კვლევა ჩატარდეს რისკის წარმომქმნელ სპირალში ყველაზე „მგრძობიარე“ ფაქტორის გავლენაზე;

- ვადაგადაცილებული სესხით გამოწვეულ საკრედიტო რისკთან მაკროეკონომიკური მაჩვენებლების კავშირის შეფასება პირსონის მეთოდით შოკური ცვლილებისას საკრედიტო რისკის ხარისხის დადგენა და პრევენციული ღონისძიებების შემუშავება. რისკ-კულტურა რისკ-მენეჯმენტის განუყოფელი ნაწილია. რისკ-მენეჯმენტი, როგორც სხვა მმართველობითი პროცესი მკაფიოდ რეგლამენტირებულია. ორგანიზაციული სტრუქტურები, როლი, პროცედურები, ინსტრუმენტები, მოდელები ჰარმონიზებულ მექანიზმს ჰქმნიან, მაგრამ ამასთან რისკ მენეჯმენტის მდგრადი სისტემის და მისი მუდმივად ცვალებად შიდა და გარე ფაქტორებთან ადაპტაციისთვის საკმარისი არ არის ფორმალური მექანიზმზე დაყრდნობა, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში ცხოვრებისეული პრაქტიკა და სიტუაცია წინ უსწრებს ყველაზე ფართო და დეტალურ რეგულაციებსაც კი. ამიტომაც რეგულაციებში არსებული ხარვეზებისა და ბუნდოვანი ზონების ამოვსების ერთ-ერთი საშუალებაა ცოდნა, ფასეულობები, პრინციპები და რწმენა რისკების მართვაში. სწორედ ამ კომპონენტების ერთობლიობამ (ცოდნა, ფასეულობები, პრინციპები და რწმენა) მათმა მთლიანობამ საერთაშორისო პრაქტიკაში მიიღო რისკ-კულტურის სახელწოდება. ამ ეტაპზე კომერციული ბანკები რისკ-კულტურის განვითარების სხვადასხვა დონეზე არიან.

დღევანდელ რეალურ პრაქტიკაში ქართულ კომერციული ბანკებში ორგანიზაციული სტრუქტურა ისეა მოწყობილი, რომ რისკების მართვაც მიმდინარეობს ცენტრალიზებულად და რეგიონულ და ფილიალურ სტრუქტურებში რისკ კულტურის ფასეულობათა და პრინციპების კომუნიკაციურ განვითარებას არ საჭიროებენ, რაც ჩვენი აზრით სრულყოფილებას მოკლებულია და ჩვენ ვფიქრობთ, რომ რისკ-კულტურა არ არის განვითარების შესაბამის დონეზე. ცხადია, რომ ბანკში არსებული რისკ-მენეჯმენტის კულტურას შეუძლია გააუმჯობესოს, ან პირიქით უარესობისკენ შეცვალოს ბანკის საქმიანობის საბოლოო შედეგი.

აქედან გამომდინარე, მესამე ქვეთავში “რისკ-კულტურის ჩამოყალიბების ტენდენციები ქართულ კომერციულ ბანკებში“ შესწავლილი გვაქვს ქართულ კომერციულ ბანკებში რისკ-კულტურის ჩამოყალიბების ტენდენციები.

მოვახდინეთ რისკ-კულტურის სახეების კლასიფიცირება სხვადასხვა ნიშნისა და მდგომარეობის მიხედვით. შევიმუშავეთ კითხვარები, რომლითაც ჩავატარეთ გამოკითხვები ქართულ კომერციულ ბანკებში.

- კვლევის შედეგებისა და ფაქტების ანალიზის საფუძველზე გავაკეთეთ დასკვნები, რომ ქართულ კომერციულ ბანკებში რისკ კულტურის განვითარების დაბალი დონე განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:
- ბანკის ტოპ მენეჯმენტის მხრიდან სუსტია რისკ-მენეჯმენტისადმი მხარდაჭერა;
- ესმით რა რისკების მართვის ინსტრუმენტების დანერგვის მნიშვნელობა, ხელმძღვანელობა ყოველთვის არ აღიარებს რომ, რისკ მენეჯმენტი ეხება არა მარტო რისკ მენეჯერებს არამედ ბანკის ყველა სხვა თანამშრომლებსაც;
- პერსონალი არ არის დაინტერესებული რისკების შესახებ ინფორმაციის ურთიერთ გაზიარებით. სიტყვა „რისკი“ ხშირად ნეგატიურად აღიქმება მათი მხრიდან, ისინი შიშობენ აიღონ პასუხისმგებლობა და პასუხი აგონ შედეგებზე. ორგანიზაციამ თანამშრომლებთან მიმართებაში უნდა გააუქმოს გასაიდუმლოების დადგენილი დირექტივები, რათა რაც შეიძლება ადრე იქნეს გამოვლენილი პრობლემები, მანამ სანამ ისინი ჯერ კიდევ მართვადია;
- პერსონალს სხვადასხვაგვარად ესმის რისკების შინაარსი, ვინაიდან ვფიქრობთ, არ გააჩნიათ რისკების მართვის ერთიანი სტრატეგია;
- არ არის განვითარებული კომპეტენციები და სასწავლო პროგრამები რისკ მენეჯმენტის სფეროში, ასევე პერსონალის კომპეტენციების დონე არ შეესაბამება ამავე დროს დაკავებულ თანამდებობათა დონებს.

ქართულ კომერციული ბანკებისათვის ეროვნულმა ბანკმა მოამზადა კანონპროექტი - „ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსი კომერციული ბანკებისთვის“. წინამდებარე კანონ-პროექტი ერთგვარი გამოძახილია რისკ-კულტურის ცნობადობისა, რაც ნიშნავს მცდელობას, რომ რისკ-

კულტურამ მიიღოს კანონმდებლობის სახე და აქტიურად დაინერგოს ქართულ საბანკო სივრცეში.

დასკვნები და წინადადებები

1. მაშასადამე, ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჯერ კიდევ შორეულ წარსულში პასკალისა და ფერმას კვლევების საფუძველზე შექმნილმა ალბათობის თეორიამ და მომავალი შემთხვევითი მოვლენების გათვლის სისტემურმა მეთოდებმა კაცობრიობას შესაძლებლობა მისცა მოეხდინათ მოსალოდნელი შემთხვევის პროგნოზირება და განესაზღვრათ რისკის სიდიდეები. რისკს მეტი ყურადღება მიექცა არა მხოლოდ მეცნიერების მხრიდან, არამედ ყოველდღიურ პრაქტიკულ ცხოვრებაშიც, რამაც განაპირობა შემდგომში რისკის მართვის ახალი მეთოდების ჩამოყალიბების ძიება.

ჩვენს მიერ განხილული და შესწავლილი მსოფლიო მკვლევართა ნაშრომები რისკის არსისა და მისი მართვისადმი ადამიანის დამოკიდებულების შესახებ, გვამღევეს საშუალებას დავასკვნათ, რომ რისკი ეს არის უდიდესი ფენომენი, რომლის წინაშე მეცნიერების კვლევები აბსოლუტურ სიზუსტეს მოკლებულია.

ასევე ვადგენთ, რომ რისკის წარმოქმნის საფუძველი არის საფრთხე და იქ სადაც არ არის ალტერნატივა, არ შეიძლება რისკზე საუბარი, აქედან გამომდინარე მიუხედავად უალტერნატივობისა რისკს მაინც აქვს ადგილი და უფრო მეტიც მისი ხარისხიც მაღალია. ამის მაგალითს წარმოადგენს სპეციალიზებული ბანკების შემთხვევები, როდესაც ბანკი ერთ კონკრეტულ დარგზე ან საბანკო მომსახურებაზე არის ორიენტირებული, ის არსებულ რისკს ვეღარ გაურბის და უალტერნატივოდ მისი მართვის სხვა მექანიზმებს მიმართავს.

2. რისკების თეორიის ევოლუციაში მიუხედავად ალბათობის დიდი როლისა, მიგვაჩნია რომ რისკების ზუსტი შეფასება მისი გამოყენებით შეუძლებელია, რადგან ალბათობის გათვლა ხდება უკვე დამდგარი მოვლენების მონაცემების საფუძველზე, ხოლო მოსალოდნელი ახალი შემთხვევების შესახებ ინფორმაცია ნაკლებად სარწმუნო ხდება. ეს კი ართულებს გადაწყვეტილების მიღებას.

3. მიუხედავად იმისა, რომ რისკის არსის ახსნა ძველ ბერძნული მეცნიერებიდან დაწყებული, კლასიკური და ნეოკლასიკური მეცნიერების ჩათვლით მომდინარეობს, ერთიანი მიდგომა რისკის ცნების შესახებ მაინც არ არსებობს, ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რომ მიუხედავად არაერთი კვლევისა ჯერ კიდევ ფუნდამენტური კვლევა არ ჩატარებულა. ჩვენი ხედვით ეკონომიკური რისკი - ეს არის შესაძლო ზარალიან შემთხვევათა ღირებულებითი გამოხატულება.
4. იმის გათვალისწინებით რომ, რისკის არსებულ განმარტებებში საფუძვლად დევს საფრთხის მოსალოდნელობა, რომელიც ზიანს აყენებს რისკის ზემოქმედების ობიექტს ან სუბიექტს, წარმოვადგინეთ საბანკო რისკის ცნების ჩვენეული განმარტება, რაც მდგომარეობს შემდეგში: „საბანკო რისკები არის საბანკო ბიზნესთან დაკავშირებული სუბიექტების საქმიანობაში განვითარებული მოვლენების მატერიალიზაცია ასახული ბანკის ფინანსური რესურსების დანაკარგებში“.
5. საფინანსო სისტემის განვლილი კრიზისული ეტაპების შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე მივდივართ იმ დასკვნამდე, გასული საუკუნეების საფინანსო ბაზრების არასტაბილურობამ, საბანკო თუ ფინანსურმა კრიზისებმა მეტი აქტუალობა შემატა რისკების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომ რისკების მართვის საერთაშორისო მექანიზმები, მიუხედავად მისი განვითარებისა და ევოლუციის ეტაპებისა, ბოლომდე ვერ არის სრულყოფილი და იგი ფინანსური ბაზრების განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე ახალ მიდგომებს მოითხოვს.
 მიგვაჩნია, რომ საბანკო რისკები და მათზე მოქმედი ფაქტორები საჭიროებს მუდმივად განახლებად რეჟიმში გაანალიზების, პროგნოზირებისა და მათი მართვის ახალი მოდელების შექმნასა და დანერგვას. ამ გარემოებებიდან გამომდინარე დღეისათვის რისკ-მენეჯმენტი მოგვევლინა, როგორც ერთ-ერთი თანამედროვე მეცნიერული მიმართულება.
6. შესაბამისად ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულ იქნა რისკ-მენეჯმენტის ახლებური განსაზღვრება, კერძოდ: „საბანკო რისკ-მენეჯმენტი ეს არის საბანკო რისკების კომპლექსური მართვა, რომელიც რისკების იდენტიფიცირების, ანალიზის, შეფასების, რეგულირებისა და კონტროლის ეფექტიან სისტემას მოიცავს“.
7. საბანკო საქმიანობაზე მოქმედი რისკების კლასიფიკაცია იძლევა საშუალებას თითოეულმა კომერციულმა ბანკმა მოახდინოს იმ რისკების იდენტიფიკაცია,

რომლებიც ყველაზე მეტად ახდენს გავლენას ბანკის ფინანსურ შედეგზე. ჩვენ აზრით, საკრედიტო და საოპერაციო რისკი ბანკების „ძირითადი რისკებია“ და საოპერაციო რისკი გენერირდება საკრედიტო რისკში. სწორედ პირველ რიგში მათი არაეფექტიანი მართვა მიიყვანს ბანკს გაკოტრებამდე.

8. მიგვაჩნია, რომ საბანკო რისკების რეგულირების მეთოდოლოგია, ბაზელის რეკომენდაციებთან შესაბამისობაში მოყვანა და ერთი ქვეყნის ფარგლებში არსებული სისტემური რისკების პროგნოზირება და რეგულირება არ არის საბოლოო ვერდიქტი საბანკო საკრედიტო სფეროს გამართული საქმიანობის მისაღწევად. ქვეყანა რამდენადაც არის ჩართული გლობალიზაციის პროცესში, იმდენად წარმოადგენს საფრთხეს არა მარტო მისი ქვეყნის, არამედ სხვა ქვეყნების სისტემური რისკების წარმოქმნისათვის.
9. მიგვაჩნია რომ რისკ-მენეჯმენტი, როგორც მმართველობითი პროცესი მკაფიოდ რეგლამენტირებული უნდა იყოს. ორგანიზაციული სტრუქტურები, როლი, პროცედურები, ინსტრუმენტები, მოდელები ჰარმონიზებულ მექანიზმს უნდა ჰქმნიდნენ, მაგრამ ამასთან რისკ მენეჯმენტის მდგრადი სისტემის და მისი მუდმივად ცვალებად შიდა და გარე ფაქტორებთან ადაპტაციისთვის საკმარისი არ არის ფორმალური მექანიზმზე დაყრდნობა, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ცხოვრებისეული პრაქტიკა და სიტუაცია წინ უსწრებს ყველაზე ფართო და დეტალურ რეგულაციებსაც კი. ამიტომაც რეგულაციებში არსებული ხარვეზებისა და ბუნდოვანი ზონების ამოვსების ერთ-ერთი საშუალებაა ცოდნა, ფასეულობები, პრინციპები და რწმენა რისკების მართვაში. სწორედ ამ კომპონენტების ერთობლიობამ მათმა მთლიანობამ საერთაშორისო პრაქტიკაში მიიღო რისკ-კულტურის სახელწოდება. მაშასადამე, ვასკვნით, რომ რაც არ უნდა სრულყოფილი იყოს რისკ-მენეჯმენტის ინსტრუმენტები, ვერ იქნება ეფექტიანი თუკი ორგანიზაციაში არ არის რისკების მართვის კულტურა განვითარებული.

ჩვენს მიერ ბანკებში ჩატარებულმა გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ დაახლოებით პერსონალთა 30-40%-მა არ იცის ის ძირითადი ცნებები და კრიტერიუმები, რომელიც მეტყველებს კორპორაციაში არსებულ რისკ-კულტურის განვითარებაზე. ქართულ კომერციული ბანკებში რისკის კულტურის ამაღლების, ასევე ეთიკისა და საბანკო პროფესიის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების

მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია უკვე ამოქმედებულ ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსთან ერთად ცალკეული ბანკის მენეჯმენტმა შეიმუშაოს მართვის ისეთი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს ზემოთ აღნიშნული საკითხების სრულყოფას.

10. სადისერტაციო ნაშრომის ამოცანა იყო ძირითად საბანკო რისკებზე მოქმედი ფაქტორების გავლენის ანალიზი. საკრედიტო რისკზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, ვინაიდან ის არის ბოლო მაჩვენებელი, რომელიც ასახავს ბანკის დანაკარგების სიდიდეს, მაგრამ უპირველესად აჩვენებს როგორც ბანკის შიდა, ასევე გარე ეკონომიკური თუ პოლიტიკური პროცესების შედეგად ფაქტორთა ცვლილებას.
11. ბანკების ფინანსური მონაცემების შესწავლის საფუძველზე, გაანგარიშებულია ვადაგადაცილებული სესხებით წარმოქმნილი საკრედიტო რისკის ბანკის საკრედიტო პორტფელის მოცულობასთან მიმართებაში პროცენტული მაჩვენებელი და პირსონის კორელაციის კოეფიციენტის გათვლით დადგენილია მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენის ძალა.
12. კვლევის შედეგად გამოვლინდა რომ საქართველოს ბანკის საკრედიტო რისკზე უმუშევრობისა და მთლიანი შიდა პროდუქტი - გავლენის ძალა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია საკრედიტო რისკის შეფასებისათვის, ხოლო საკრედიტო რისკი და ინფლაცია დამოუკიდებელი ცვლადებია, რაც არ შეესაბამება რეალობას.
13. თიბისი ბანკთან მიმართებაში პირსონის კოეფიციენტი და კრიტერიუმები კარგად ხსნის რისკის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე დამოკიდებულებას, კერძოდ მიღებული შედეგების მიხედვით თიბისი ბანკის საკრედიტო რისკი მგრძობიარეა უმუშევრობასთან მიმართებაში.
14. განხილულ ბანკებს შორის ლიბერტი ბანკი არ გამოირჩევა მაღალი მოგებით, სესხის 70-80% ფიზიკურ პირებზე გაცემით, უმუშევრობასთან კორელაციის კოეფიციენტი ყველაზე მაღალი უნდა ყოფილიყო, თუმცა როგორც გამოვლინდა აღნიშნული კორელაციაა არის უარყოფითი.
15. როგორც კვლევამ აჩვენა, საკრედიტო რისკზე მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გავლენის სტატისტიკური ანალიზის შედეგად მიღებული კორელაცია ზოგიერთ შემთხვევაში რეალობას აცდენილია, რომლის მიზეზი ჩვენი აზრით არის ის, რომ საქართველოში უმუშევრობის დონე შემცირებულია დასაქმებულთა რაოდენობაში

თვითდასაქმებულთა ჩათვლით, რომელთა დიდი ნაწილი დაბალ შემოსავლიანია ან მხოლოდ ოჯახის შენახვისათვის აწარმოებს საოჯახო მეურნეობას. ხოლო ინფლაციის გავლენის კრიტერიუმი, კონკრეტულად საქართველოს ბანკის საკრედიტო რისკთან მიმართებაში მიღწეულია მონეტარული პოლიტიკის ღონისძიებებით, კერძოდ რეფინანსირებით. მართალია, რეფინანსირება კომერციულ ბანკს იცავს საკრედიტო რისკის ზრდისაგან მოკლევადიან პერიოდში, მაგრამ საშუალოვადიან პერიოდში, სხვა ფაქტორებთან ერთად იწვევს მოსახლეობის გადახდისუნარიანობის შემცირებას და ბანკს ბუმერანგით უბრუნდება ვადაგადაცილებული კრედიტების სახით.

16. კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ საკრედიტო რისკზე ყველაზე მეტად გავლენას მთლიანი შიდა პროდუქტი ახდენს, შემდეგ უმუშევრობა და ბოლოს ინფლაცია, თუმცა ცხრილში მოტანილი წლიური მონაცემების შეპირისპირებიდან ჩანს, რომ მაღალ საკრედიტო რისკს შეესაბამება ერთ შემთხვევაში მაღალი მთლიანი შიდა პროდუქტი, სხვა შემთხვევაში მთლიანი შიდა პროდუქტის დაბალი მაჩვენებელი.

17. მაკროეკონომიკური ფაქტორები, როგორც წესი იცვლება კომერციული ბანკებისაგან დამოუკიდებლად, როგორც ქვეყანაში, ასევე ქვეყნის გარეთ განვითარებული ეკონომიკური პროცესების შედეგად. გამომდინარე აქედან, კომერციული ბანკი მზად უნდა იყოს მაკროეკონომიკური შოკებზე გასამკვლავებლად.

18. ნაშრომში ცვლადებს შორის წრფივი ფუნქციის განტოლების ამოხსნით გამოკვლეულია მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა შოკური ცვლილებების შემთხვევაში საკრედიტო რისკის ზრდა. შოკური სცენარის კვლევამ ინფლაციასთან მიმართებაში აჩვენა კორელირებისაგან განსხვავებული შედეგი. კერძოდ ინფლაციის კრიტიკული კრიტერიუმის მიხედვით საკრედიტო რისკი და ინფლაცია ურთიერთდამოუკიდებელი ცვლადებია, ხოლო შოკური სცენარის შემთხვევაში ინფლაციის 15%-იანი ზრდით საკრედიტო რისკი 9,36 %-ით იზრდება.

ამგვარად, გამოვლენილი სუსტი კავშირი მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან სრულიადაც არ გულისხმობს მათი გავლენის დაბალ დონეს. მიღებული შედეგების საფუძველზე დავასკვნით, რომ კორელაციის უტყუარობის ხარისხის ამალღებისათვის გათვლები ჩატარდეს რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლებლობის ფარგლებში რაოდენობრივი კვლევა ჩატარდეს რისკის წარმომქმნელ სპირალში ყველაზე „მგრძნობიარე“ ფაქტორის გავლენაზე;

19. მაკროეკონომიკური მაჩვენებლების „შოკური“ ცვლილებისას ვადაგადაცილებული სესხით გამოწვეულ საკრედიტო რისკის მინიმიზაციისათვის შემუშავდეს პრევენციული ღონისძიებები. კონკრეტული წინადადებები აგებული უნდა იქნას კომერციული ბანკის არა მხოლოდ საკრედიტო რისკის ზომის მიხედვით, არამედ ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა პარტნიორის ფინანსური მდგომარეობის ანალიზზე დაფუძნებით, მათ საქმიანობაში საპროგნოზო მაჩვენებლის გათვალისწინებით.
20. საკრედიტო და საოპერაციო რისკების სრულყოფილად შესწავლისათვის ასევე ჩატარდა რეგრესული ანალიზი. რეგრესული მოდელის შექმნისათვის შესწავლილი იქნა საკრედიტო და საოპერაციო რისკებზე მოქმედი ის ფაქტორები, რომელთა ცვლილება ყველაზე მეტად აისახა რისკზე. ამავე დროს მოდელის აგებისას დავეყრდნით იმ მიდგომას, რომ საკრედიტო რისკის ფაქტორებად აღებული იქნა არა განაგარიშებაში მონაწილე ცალკეული პარამეტრები (ჯამური ვალდებულება /ჯამური კრედიტი), არამედ ეკონომიკური მაჩვენებლები. იმ მოსაზრებით, რომ საკრედიტო რისკი არის ბანკის ფინანსური შედეგის განმსაზღვრელი და ცალკე პარამეტრების ცვლილებით შეფასებამ შესაძლებელია მცდარ გადაწყვეტილებამდე მიიყვანოს ბანკის რისკ-მენეჯმენტი;
21. რეგრესული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საკრედიტო რისკის დეტერმინაციის კოეფიციენტი მოთავსებულია 0,914—0,975 ინტერვალში, რაც ნიშნავს, რომ მოდელით ახსნილია მონაცემების 95% და რეგრესული მოდელი სწორად არის შერჩეული.
22. პროცენტებში გამოსახული ცვლილებები ზუსტად ვერ აჩვენებს კორელაციის შედეგად მიღებულ მტკიცებულებებს, მაგრამ ჩვენ ნაშრომში აღვნიშნეთ, რომ საკრედიტო რისკისა და მასზე მოქმედი ფაქტორების კორელაცია შეიძლება ჩაითვალოს წრფივად, თუ დამოკიდებულების გრაფიკი მოიცავს წრფივ უბნებს. გამომდინარე აქედან, საკრედიტო რისკსა და ფინანსურ მაჩვენებლებს შორის დამოკიდებულებაში კორელაციის მიმართულების ზუსტი ასახვის არ ქონა ჩვენი აზრით არ აღნიშნავს, მოცემულ მაჩვენებელთა გავლენის იგნორირებას. კორელაციის კოეფიციენტის სიდიდე და რეგრესული მოდელის შერჩევის პარამეტრების მოცემულობა გვარწმუნებს, რომ საპროგნოზო მაჩვენებლები მაღალი ალბათობით

მოსალოდნელ მოვლენებს შეესაბამება.

23. საოპერაციო რისკის დეტერმინაციის კოეფიციენტი, არის 0.99, რაც გვამღევს იმის საფუძველს ვთქვათ, რომ ამ მოდელით ახსნილია მონაცემების 99% და მოდელი სწორად არის შერჩეული. რეგრესული ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა რომ ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, აქტივები და სააქციო კაპიტალი დროის ზრდასთან ერთად წრფივად იზრდება, რადგან შესაბამისი კორელაციის კოეფიციენტები 1-თან ახლოს მყოფი სიდიდეებია, შესაბამისად მოდელით ახსნილია მათი მონაცემების 99%. ხოლო ვადაგადაცილებული სესხის, სულ კრედიტებისა და საოპერაციო ხარჯების სუსტი კორელაციის გამო ამ მოდელით კავშირები ახსნილია შესაბამისად: ვადაგადაცილებული სესხი -54%; ჯამური კრედიტების მაჩვენებელი - 73%; საოპერაციო ხარჯი-78%.
24. სუსტი კავშირი, რათქმაუნდა არ გულისხმობს მოცემული ფაქტორების გამორიცხვას საოპერაციო რისკის შეფასებიდან, მაგრამ რისკ მენეჯმენტის მიერ რისკების გამომწვევი ფაქტორების რანჟირებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ მოცემული მოდელით ახსნილ დაბალ პროცენტთან მაჩვენებელებთან მიმართ გააძლიერონ ყურადღება ექსპერტული შეფასების პროცესში.
25. 2019 წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან მიმართებაში ვადაგადაცილებული სესხის სააქციო კაპიტალთან თანაფარდობის რისკის ფაქტორის საოპერაციო რისკთან კორელაცია შესრულებადია, ხოლო ვადაგადაცილებული კრედიტების ჯამურ კრედიტებთან თანაფარდობისას უარყოფითი კორელაცია დაფიქსირდა, და კანონზომიერება 2018 წლის მაჩვენებლის მიმართ შესრულებადია.
26. ჩვენს მიერ ჩატარებული რეგრესული ანალიზი ქვეყნის სისტემურობის განმსაზღვრელი ბანკების მონაცემებით ადასტურებს, რომ საბანკო რისკებზე (საკრედიტო, საოპერაციო) მოქმედი ფაქტორები კორელირებადია მოცემულ რისკებთან. რეგრესული განტოლებების შედეგის საფუძველად აღებული იქნა ქართული კომერციული ბანკების ფინანსური მონაცემების ანალიზი, აუდიტის ანგარიშში მოტანილი რისკ ფაქტორები, ექსპერტთა შეფასებები, მეცნიერ მკვლევართა მიდგომები რისკების მართვის მოდელებისადმი. რეგრესული მოდელის დეტერმინაციის მაღალმა კოეფიციენტმა დაადასტურა არჩეული მოდელების სისწორე. მცირე შეუსაბამობები კორელაციის კოეფიციენტის მიხედვით რისკის ზომასა და

მოქმედ ფაქტორებს შორის გაპირობებულია საბანკო სფეროში არსებული სხვა სახის რისკების გააქტიურებით დროის მოკლე ინტერვალებში.

27. კვლევის შედეგად გამოვავლინეთ ფაქტორები, რომლებიც არსებითად გავლენას ახდენენ ფინანსურ და არაფინანსურ რისკებზე. ვადაგადაცილებული სესხი, მიუხედავად რეგრესული ანალიზისა 54%-ით არის ახსნილი მოცემულ მოდელში, მისი გავლენა საოპერაციო რისკზე მაინც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, რაც დადასტურდა საპროგნოზო მაჩვენებლებში. საოპერაციო რისკის უშუალოდ განმსაზღვრელი მაჩვენებლები წმინდა მოგება/ჯამ. აქტივები დადებით კორელაციაშია საოპერაციო რისკთან, თუმცა შემადგენელი კომპონენტების არათანაბარმა ზრდამ საოპერაციო რისკი შეამცირა.
